COMMITTEE OF MINISTERS
COMITÉ DES MINISTRES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

**MINISTERS' DEPUTIES**
**DÉLÉGUÉS DES MINISTRES**

Recommendations
Recommandations

**CM/Rec(2022)18**

13/07/2022

# Recommendation of the Committee of Ministers to member States on countering education fraud

*Unofficial translation into Georgian*

# Recommandation du Comité des Ministres aux États membres sur la lutte contre la fraude dans l'éducation

*Traduction non officielle en géorgien*

# აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლა - რეკომენდაცია CM/Rec(2022)18 და განმარტებითი მემორანდუმი

*Source - Council of Europe, original English and French versions*
*© Georgia - Ministry of Education and Science*

*Text originated by the Council of Europe. This translation into a non-official language is published by arrangement with the Council of Europe, but under the sole responsibility of the translator/publisher*

* * * * *

*Source - Conseil de l'Europe, pour les versions originales en anglais et français*
*© Géorgie - ministère de l'Éducation et des Sciences*

*Le texte original provient du Conseil de l'Europe. Cette traduction en une langue non-officielle est réalisée avec l'accord du Conseil de l'Europe mais sous l'unique responsabilité du traducteur/éditeur*

# აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლა

## რეკომენდაცია CM/Rec(2022)18

## და

## განმარტებითი მემორანდუმი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ

2022 წლის 13 ივლისს მიღებული


## რეკომენდაცია CM/Rec(2022)18

## და

## განმარტებითი მემორანდუმი

ფრანგული გამოცემა: Lutte contre la fraude dans l'éducation
(რეკომენდაცია CM/Rec(2022)18 *et exposй des motifs*)
ISBN 978-92-871-9280-6
ISBN 978-92-871-9282-0 (PDF)

ამ პუბლიკაციის ტექსტის გამრავლება ნებადართულია იმ პირობით, რომ სრულად  იქნება მითითებული სათაური და წყარო, კერძოდ, ევროპის საბჭო. თუ ისინი განკუთვნილია კომერციული მიზნით გამოყენებისთვის ან ითარგმნება ევროპის საბჭოს ერთ-ერთ არაოფიციალურ ენაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: publicing@coe.int.

ყდის დიზაინი და განლაგება:
დოკუმენტები და პუბლიკაციები
საწარმოო დეპარტამენტი
(SPDP), ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო|
F-67075 სტრასბურგის სედექსი
http://book.coe.int

ISBN 978-92-871-9279-0
ISBN 978-92-871-9281-3 (PDF)
© ევროპის საბჭო, 2022 წლის დეკემბერი
დაბეჭდილია ევროპის საბჭოში

**სარჩევი**

**რეკომენდაცია CM/REC(2022)18**

პრეამბულა

CM/Rec(2022)18 8 რეკომენდაციის დანართი

**განმარტებითი მემორანდუმი**

I. რეკომენდაციის საფუძველი

II. რეკომენდაციის დებულებების კომენტარები

CM/Rec(2022)18 22 რეკომენდაციის დანართი

**წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის**

**რეკომენდაცია CM/Rec(2022)18**

**აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**

---

*(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 13 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1440-ე შეხვედრაზე)*

**პრეამბულა**

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების (ETS No. 1) 15.b მუხლის პირობების შესაბამისად;

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და რომ ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია განათლებისა და კულტურის საკითხებში ერთობლივი მოქმედებებით;

ითვალისწინებს რა, რომ აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობა საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობაა;

მხედველობაში იღებს რა

- ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენციას (ETS No. 5) და მის ოქმს (ETS No. 9), კერძოდ, ამ უკანასკნელის მე-2 მუხლს განათლების უფლების შესახებ;
- ევროპის კულტურულ კონვენციას (ETS No. 18);
- ევროპის სოციალურ ქარტიას (შესწორებული) (ETS No. 163);
- ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ კონვენციას (ETS No. 165, ლისაბონის კონვენცია აღიარების შესახებ);
- ევროპის საბჭოს განათლების მინისტრების მუდმივმოქმედი კონფერენციის 24-ე სესიის დასკვნით დეკლარაციას, რომელიც გაიმართა ჰელსინკში 2013 წლის 26 და 27 აპრილს;
- წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2007)6 რეკომენდაციას უმაღლეს განათლებასთან და კვლევასთან დაკავშირებით საჯარო პასუხისმგებლობის შესახებ;
- წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2012)7 რეკომენდაციას აკადემიურ თავისუფლებასა და ინსტიტუციურ ავტონომიაზე საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობის შესახებ;

- წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2012)13 რეკომენდაციას ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ეთიკა, გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება განათლების სფეროში ხარისხის მიღწევის წინაპირობაა;
- წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2019)9 რეკომენდაციას მასწავლებლის პროფესიაში ეთიკის კულტურის ხელშეწყობის შესახებ;
- გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის
- (იუნესკო)/ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებს ტრანსსასაზღვრო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ (2005);
- გაეროს საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966);
- წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2014)7 რეკომენდაციას მამხილებელთა დაცვის შესახებ და საპარლამენტო ასამბლეის 2162 (2019) რეკომენდაციას - „მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესება მთელ ევროპაში“, ასევე მინისტრთა კომიტეტის პასუხს ამ რეკომედაციაზე;

ითვალისწინებს რა განათლების სექტორის განვითარებას და კვალიფიკაციების, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული განათლების ინსტიტუტებისა და სხვა მიმწოდებლებისა და სექტორების მიერ სერტიფიცირების ახალი ფორმების წარმოშობას;

მხედველობაში იღებს რა, რომ წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან მათი განათლების სისტემების ორგანიზებასა და შინაარსზე ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციების, კომპეტენციების, პრაქტიკისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად;

ითვალისწინებს რა, რომ აკადემიური თაღლითობა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ამ ფენომენის გავრცელებას;

ითვალისწინებს რა, რომ ეს ტექნოლოგიები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ და განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშესაწყობად;

მხედველობაში იღებს რა, რომ აკადემიური თაღლითობა საფრთხეს უქმნის

- ხარისხიანი განათლების უფლებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე და ყველა მოქალაქის სწავლისა და დაცვის თანაბარ შესაძლებლობებს;
- თითოეული წევრი სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემების და ინსტიტუტების ხარისხის, სამართლიანობისა და პროფესიონალიზმის და შესაბამისად გამჭვირვალობის, ხარისხის უზრუნველყოფის, სტუდენტების საერთაშორისო მობილობის და დასაქმების შესაძლებლობების მიმართ ნდობას;
- თითოეული წევრი სახელმწიფოს ეკონომიკას;

- რეგულირებადი პროფესიების, მათ შორის, სამედიცინო სექტორის სანდოობას, ასევე თითოეულ წევრ სახელმწიფოში საჯარო სამსახურში დასაქმებას;
- თითოეული წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო რეპუტაციას და მისი დემოკრატიული სისტემის მიმართ ნდობას, ეროვნული და საზოგადოების უსაფრთხოების, ასევე ხარისხებისა და კვალიფიკაციების ურთიერთაღიარების მექანიზმების მიმართ ნდობას;

დარწმუნებული არის რა, რომ საჭიროა ამ ფენომენზე ევროპული პასუხი და გადაწყვეტა;

დარწმუნებულია რა, რომ საჭიროა ყოვლისმომცველი საერთაშორისო ინსტრუმენტის არსებობა განათლების სფეროში აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობისთვის:

1. რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, რომ დანართში მოცემული განსაზღვრებებისა და ღონისძიებების შესაბამისად და საკუთარი კონსტიტუციური წყობის, ეროვნული და ადგილობრივიკონტექსტის და განათლების სისტემის პატივისცემით:

i. ეფექტიანად განავითარონ, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ხარისხიანი განათლება, მათ ტერიტორიაზე და შეძლებისდაგვარად ტრანსნაციონალურ დონეზე, იმ ქმედებებისა და საქმიანობის აღმოფხვრით, რომელიც ხელს უწყობს აკადემიურ თაღლითობას;
ii. მიიღონ აუცილებელი ზომები განათლების ყველა საფეხურზე მოსწავლეების, სტუდენტების, მკვლევარებისა და პერსონალის იმ ორგანიზაციებისგან და ცალკეული პირებისგან დასაცავად, რომლებიც ეწევიან ისეთი საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგსა და პოპულარიზაციას, რაც წარმოადგენს თაღლითობას ინტერნეტის, სოციალური მედიის, რეკლამის და სხვა საშუალებების გამოყენებით;
iii. უზრუნველყონ განათლებისა და დასაქმების სფეროში საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ პრევენციული და დამცავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, ასევე მხარი დაუჭირონ განათლებისა და სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა სექტორში და ამ სექტორებს შორის ურთიერთქმედებისას თანაბარი შესაძლებლობების კულტურის დამკვიდრებას;
iv. აკონტროლონ ტექნოლოგიურ განვითარება, რაც შეიძლება დაემატოს თაღლითური აკადემიური საქმიანობის ჩამონათვალს;
v. ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობას და კოლეგიალურ სწავლებას განათლების სფეროში ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მეშვეობით (შემდგომ - „ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმა“;
vi. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციის თარგმნა მათი შესაბამისი ქვეყნების ოფიციალურ ენაზე/ენებზე და მისი ფართოდ გავრცელება;

2. იღებს ვალდებულებას, რომ განიხილოს ამ რეკომენდაციის შესრულება მისი მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ.

**CM/Rec(2022)18 რეკომენდაციის დანართი**

**1. მიზანი და მასშტაბი**

ამ რეკომენდაციის მიზანია წევრი სახელმწიფოების დახმარება აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობა და მხარდაჭერა და შესაბამისად მათი დახმარება ყველა მოსწავლისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფაში.

რეკომენდაციაში მოცემული ყველა ღონისძიება ეხება განათლებაზე ხელმისაწვდომობას და განათლების ყველა საფეხურსა და ფორმას, სკოლამდელი აღზრდიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით, მათ შორის პროფესიულ განათლებასა და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, უწყვეტ განათლებას და ზრდასრულთა სწავლებას, რასაც უზრუნველყოფს ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულება - საჯარო, კერძო, მომგებიანი ან არაკომერციული ინსტიტუტი - ფონდი ან საგანმანათლებლო ინსტიტუტი.

რეკომენდაცია ხაზს უსვამს საჯარო ორგანოების და/ან პროფესიული და კერძო ორგანიზაციებისა და კომპანიების პასუხისმგებლობას განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების ხელშეწყობაში და აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**2. განსაზღვრებები**

ამ ტექსტის მიზნებისთვის ძირითადი ტერმინები, რომლებიც ეხება განათლების სფეროში აკადემიურ თაღლითობას, მოცემულია ქვევით.

„ეთიკის კოდექსი“ არის მორალური და ეთიკური ღირებულებებისა და პრინციპების გამოხატულება, რომლებიც ემსახურება განათლების პროცესში ეთიკის განვითარებას და შენარჩუნებას ყველა დონეზე და ყველა ასპექტში. ეფუძნება რა ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებებს, მისი მიზანია დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის განვითარება და თანასწორობის, სამართლიანობისა და ინკლუზიური განათლებისთვის ძლიერი და ეფექტიანი ვალდებულების შექმნა.

„განათლების სფეროში ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის პრინციპები“ არის ის პრინციპები და ღირებულებები, რომლებიც შემუშავებულია ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის (ETINED) მიერ საკუთარი მანდატის შესაბამისად , იმ კონცეფციაზე დაყრდნობით, რომ ხარისხიანი განათლება მიღწეული

იქნება და აკადემიურ თაღლითობაზე ეფექტიანი რეაგირება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების ყველა შესაბამისი სექტორი, სამართლებრივ ნორმებსა და სტრუქტურებზე დაყრდნობით, სრულად დაიცავს ფუნდამენტურ ეთიკურ პრინციპებს საჯარო და პროფესიულ ცხოვრებაში. ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მანდატის მიზანია დემოკრატიისა და მონაწილეობის კულტურის განვითარება და მხარდაჭერა განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით.

„აკადემიური თაღლითობა“ არის ქცევა ან ქმედება, რომელიც ხორციელდება განათლების სფეროში და რომლის მიზანია მოტყუება და უსამართლო უპირატესობის მოპოვება. იგი მოიცავს: (i) დიპლომების ფაბრიკების, აკრედიტაციის ფაბრიკების, სავიზო ფაბრიკების, ესეების ფაბრიკების და ესეების ბანკების საქმიანობას, როგორც განსაზღვრულია ქვევით; (ii) სხვა პირის სახელით მოქმედებას ნებისმიერი სამუშაოს სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისას ან ჩარიცხული სტუდენტის ნაცვლად მოქმედებას პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი შეფასების პროცესში; (iii) ავთენტური დოკუმენტების უკანონო ან არასათანადო გამოყენებას; (iv) პლაგიატს; (v) ყალბი დოკუმენტების წარმოებას ან ყალბი ან მითვისებული დოკუმენტების გამოყენებას; და (vi) არაღიარებული ან არააკრედიტებული კვალიფიკაციის შეთავაზებას განზრახ მოტყუების მიზნით.

„თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები“ მოიცავს აკრედიტაციის ფაბრიკებს, დიპლომების ფაბრიკებს, ესეების ფაბრიკებს, ესეების ბანკებს და სავიზო ფაბრიკებს, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს ან უფრო დიდი ერთეულების ნაწილებს.

„აკრედიტაციის ფაბრიკა“ არის დაწესებულება ან ორგანიზაცია (ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით), რომელიც არ არის აღიარებული ეროვნული კომპეტენტური ორგანოების მიერ და ავტორიზებული ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს საგანმანათლებლო პროგრამების ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აკრედიტაციის შესახებ კანონმდებლობით და რომლის მიზანია დამსაქმებლების, სტუდენტების ან საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

„დიპლომების ფაბრიკა“ (ასევე ცნობილია, როგორც „ხარისხების ფაბრიკა“) არის დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის აღიარებული აკრედიტებულ ინსტიტუტად ეროვნული კომპეტენტური ორგანოების ან ორგანიზაციების მიერ ან ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით არ არის აკრედიტებული ან უფლებამოსილი, რომ გასცეს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები ან მიანიჭოს კვალიფიკაციები და რომელიც მოტყუებით აცხადებს, რომ გასცემს ასეთ დოკუმენტებს ან კვალიფიკაციებს.

„ესეების ფაბრიკა“ (სხვაგვარად მოიხსენება, როგორც „თაღლითური მომსახურების მიმწოდებელი არაკეთილსინდისიერი გარიგების საფუძველზე“) არის ორგანიზაცია ან პირი, ჩვეულებრივ ინტერნეტში, რომელიც დებს გარიგებას სტუდენტებთან ან მათ წარმომადგენლებთან, რათა სრულად ან ნაწილობრივ შეასრულოს ერთი ან მეტი დავალება (მათ შორის, სტუდენტური ნამუშევარი, როგორიცაა ესე, პროექტი, თეზისი და დისერტაცია) ფინანსური სარგებლის მიღების

მიზნით, იმის მიუხედავად, წარმოადგენს თუ არა შინაარსი პლაგიატს, რაც იწვევს აკადემიურ გადაცდომას. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ესეების ფაბრიკა არ მოიცავს კერძო რეპეტიტორების მომსახურებას, რომლებიც მოქმედებენ კანონიერად ეროვნული კანონმდებლობის ან რეგულაციების ფარგლებში.

„ესეების ბანკი“ არის ორგანიზაცია ან პირი, რომლისგანაც სტუდენტებს შეუძლიათ წინასწარ დაწერილი ესეების შეძენა მათ სასწავლო პროგრამასთან შესაბამის თემებზე.

„სავიზო ფაბრიკა“ არის დაწესებულება ან ორგანიზაცია (ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით), რომელიც არ არის აღიარებული ეროვნული კომპეტენტური ორგანოების მიერ და უფლებამოსილი ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება და რომელიც არასწორად წარმოაჩენს საკუთარ თავს ასეთ ინსტიტუტად, რათა გვერდი აუაროს საიმიგრაციო კანონებს სავიზო განაცხადების მხარდაჭერის ან სხვა ნებართვების მიღების მიზნით, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ დარჩნენ, ისწავლონ, იმუშაონ ან ჰქონდეთ საჯარო სახსრებზე წვდომა კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში ან წევრი სახელმწიფოების ჯგუფში (მაგალითად შენგენის ზონა), საერთო სავიზო სქემის ფარგლებში.

„განათლების სფეროს დაინტერესებული მხარეები“ გულისხმობს სკოლის მასწავლებლებს, უმაღლესი სასწავლებლის ან სკოლისშემდგომი განათლების სხვა ფორმის ინსტიტუტების აკადემიურ პერსონალს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს განათლების ყველა საფეხურზე, მშობლებს, მოსწავლეებისა და სტუდენტების მეურვეებს ან მზრუნველებს, დამსაქმებლებს, დირექტორებს და მენეჯერებს განათლების სისტემაში და განათლებისა და სწავლების ყველა სექტორში, ფორმალური და/ან არაფორმალური სწავლების კონტექსტში, ინსტიტუტების და მსგავსი ორგანოების ხელმძღვანელთა კონფერენციების წარმომადგენლებს, შესაბამის საჯარო მოხელეებს, პროფკავშირების წარმომადგენლებს, პოლიტიკურ ლიდერებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

„პლაგიატი“ ნიშნავს ნამუშევრის, იდეების, შინაარსის, სტრუქტურების ან სურათების გამოყენებას ორიგინალური წყაროს/წყაროების სათანადოდ მითითების ან აღიარების გარეშე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ორიგინალურობა. ტერმინი „პლაგიატი“ ეხება იდეებს, შინაარსს, სტრუქტურებს ან სურათებს.

„კვალიფიკაცია“ მოიცავს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის ყველა ფორმას, რომელიც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებას, მათ შორის სერტიფიკატებს, რომლებიც გაცემულია მომსახურების მიმწოდებლების, პროფესიული და დასაქმების ორგანიზაციების და ასოციაციების მიერ. ეს ტერმინი მოიცავს სერტიფიცირების ახალ ფორმებს, რომლებიც შეიძლება განვითარდეს მომავალში.

რადგან ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება, აკადემიურ თაღლითობასთან დაკავშირებული ტერმინებისა და განმარტებების სია ამომწურავი არ არის და  რეგულარულ განხილვას უნდა ექვემდებარებოდეს.

**3. ცნობიერების ამაღლება და ინფორმაცია**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პალტფორმის პრინციპების თანმიმდევრული პოპულარიზაცია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და განათლების სფეროს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ასევე - განათლების სისტემაში ხარისხისა და ეთიკის ერთი და იმავე სტანდარტების დამკვიდრება ყველა ინსტიტუტისთვის, ეროვნული განათლების სისტემაში მათი ოფიციალური სტატუსის  მიუხედავად. ეს მიღწეული უნდა იქნეს აკადემიური თაღლითობის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით და ცნობიერების ამაღლების შესაბამისი ზომების მიღებით და ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა შესაბამისი მარეგულირებელი მექანიზმების თეორიულად და პრაქტიკულად ურთიერთდაკავშირების გზით, რათა ხელი შეეწყოს განათლების სფეროში ყველა დონეზე ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების განვითარებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმძღვანელო მითითებები აკადემიური თაღლითობის თავიდან ასაცილებლად და ხელი შეუწყონ განათლების სფეროს ყველა საფეხურზე და ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების დამკვიდრებას მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის და მათი წარმომადგენლებისთვის, ასევე პროფესიული ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებისთვის.

**4. ტრენინგი**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ  უწყვეტი ადეკვატური სწავლება აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილების და  ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობის შესახებ  განათლების და დასაქმების სექტორების ყველა პროფესიონალისთვის.

**5. პლაგიატი და მითვისებული დოკუმენტებისა და შინაარსის გამოყენება**

პლაგიატთან და მითვისებული ნამუშევრის გამოყენებასთან საბრძოლველად საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსწავლეებს, სტუდენტებს, მკვლევარებსა და პერსონალს კრიტიკული აზროვნების, აკადემიური წერის და კვლევის სათანადო უნარების განვითარებაში, სწავლის სხვადასხვა ეტაპის შესაბამისად და თითოეული წევრი სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულობას და აკადემიური თაღლითობისგან დაცვის  გაზრდას. ყველა სასწავლო გეგმა, მიუხედავად იმისა, გათვალისწინებულია თუ არა ეს

კანონით, აქცენტს უნდა აკეთებდეს სტუდენტების საკუთარი აკადემიური შესაძლებლობების მიმართ რწმენაზე და აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილებაზე.

წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში უნდა მიიღონ ზომები, რათა გონივრულად და შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მათი შიდა რეგულაციებით აკრძალონ და აღმოფხვრან პლაგიატი და მითვისებული, გაყალბებული ან არაშემოწმებადი მასალების ბოროტად გამოყენება, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლებისა და განათლების სფეროს სხვა პროფესიონალების დანიშვნისა და დაწინაურების პროცედურების მეშვეობით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები როგორც ეროვნულ, ისე ინსტიტუციურ დონეზე აკადემიური თაღლითობის გამოვლენის ტექნიკური გადაწყვეტების შემუშავებისა და დანერგვისთვის, მათ შორის, ციფრული  სწავლების და შეფასების მზარდი შესაძლებლობების ფონზე.

**6. აკადემიური თაღლითობის რეკლამა და პოპულარიზაცია**

წევრმა სახელმწიფოებმა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა მიიღონ ზომები, რათა აკრძალონ თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების რეკლამა და პოპულარიზაცია ბეჭდური ფორმით ან ქსელური მედიის საშუალებით, მათ შორის, სოციალური მედიის და ინტერნეტის მეშვეობით.

**7. სამართლებრივი ჩარჩოები, კანონები და პრაქტიკა**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ყველა საჭირო და შესაბამისი ქმედება, რათა გამოიყენონ არსებული კანონმდებლობა, სახელმძღვანელო პრინციპები ან პრაქტიკა აკადემიური თაღლითობის და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მათ ასევე უნდა განიხილონ ახალი კანონმდებლობის ან პოლიტიკის მიღების შესაძლებლობა და წაახალისონ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება, რათა მათ დაამტკიცონ ამ მიზნის შესაბამისი რეგულაციები. ამის განხორციელებისას წევრმა სახელმწიფოებმა და საგანმანათლებლო ან სასწავლო ორგანიზაციებმა უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები მოსწავლეების, სტუდენტების, მკვლევარების და პერსონალის უფლებების დასაცავად.

**8. ეთიკის კოდექსი**

წევრმა სახელმწიფოებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ეროვნული კანონმდებლობით და/ან ინსტიტუციური რეგულაციებით, ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის პრინციპების საფუძველზე უნდა ჩამოაყალიბონ ნათლად გასაგები ეთიკის კოდექსები, რომლებიც დაარეგულირებს განათლების ყველა ასპექტს, მათ შორის მმართველობას, მართვას და

ადამიანურ რესურსებს, რაზეც გავლენას ახდენს აკადემიური თაღლითობა. კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა უზრუნველყოფდეს ეთიკის კოდექსის აღსრულების სამართლიან პროცესს.

## 9. საგანმანათლებლო ტერმინოლოგია

თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების ნებისმიერი სახის არასწორი ქმედების აღმოსაფხვრელად წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა საკუთარ საგანმანათლებლო სისტემებში უზრუნველყონ ყველა შესაბამისი ტერმინის და ასეთი ტერმინების თარგმანის არასწორი გამოყენებისგან და დამახინჯებისგან ეფექტიანი დაცვა. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ინსტიტუციურ და აკადემიურ წოდებებს და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და კვალიფიკაციების ნომენკლატურას.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღრიცხონ, პერიოდულად განაახლონ და საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმატით საზოგადოებას მიაწოდონ შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია საკუთარი საგანმანათლებლო სისტემების იმ დაწესებულებების შესახებ, რომლებიც აღიარებული ან აკრედიტებული არიან, როგორც განათლების მიმწოდებლები. ამის გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა, საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, უნდა გამოაქვეყნონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების და კვალიფიკაციების აღიარების შესახებ, მათ შორის, შესაძლებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ აღიარებული და/ან ინსტიტუციური დიპლომების სტატუსი.

## 10. საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და მომავალი თაობების განათლება

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა საზოგადოების აკადემიური თაღლითობისგან დასაცავად, იმ აკადემიური და/ან პროფესიული კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების ნამდვილობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის გზით, რომლების პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენენ დღევანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე და ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

## 11. მამხილებლები

მამხილებლების დაცვის შესაბამისი ეროვნულიკანონმდებლობის გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ აკადემიურ თაღლითობასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხების წამოყენების თავისუფლება სამართლიანი პროცესის ხელშეწყობის გზით. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცესი აკადემიურ თაღლითობაში ბრალდებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის.

## 12. ციფრული გადაწყვეტების გამოყენება

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა ციფრული გადაწყვეტების მეშვეობით უზრუნველყონ სტუდენტების, კვალიფიკაციებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ მონაცემების კეთილსინდისიერება და მათზე ხელმისაწვდომობა კონფიდენციალურობის შესახებ კანონების დაცვით, ასევე - უსაფრთხო ციფრული ჩანაწერები სტუდენტების მიერ გამოყენებისთვის და დოკუმენტების უსაფრთხოდ გაცვლა. თუ ტექნიკურად შესაძლებელია, მათ ასევე უნდა უზრუნველყონ დიპლომების ავთენტურობისა და პროფესიული სერტიფიკატების შემოწმების მარტივი, ხელმისაწვდომი და მრავალენოვანი მომსახურება.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეისწავლონ არსებული ციფრული ინსტრუმენტების პოტენციალი და შესაძლებლობის შემთხვევაში დანერგონ ახალი ტექნოლოგიები აკადემიური თაღლითობისა და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად.

## 13. კვლევა

წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ აკადემიური თაღლითობის კვლევას მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების და მისი თავიდან აცილების და/ან მასზე რეაგირების მიზნით გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლის მიზნით და ითანამშრომლონ კონკრეტულ პირებთან, ორგანიზაციებთან და წევრ სახელმწიფოებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო კვლევებს ამ სფეროში.

## 14. საერთაშორისო თანამშრომლობა

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისას და სამართლებრივი დევნის ან სამართლებრივი რეაგირების სხვა ფორმების გამოყენებისას ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერი იმ ორგანიზაციის ან სუბიექტის სამართლებრივი დევნა, რომელიც თავის საქმიანობას სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს წევრ სახელმწიფოში ანდა მისთვის სხვაგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება აკადემიურ თაღლითობასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის; ეს ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ასეთი მომსახურება ან ასეთი მომსახურების კონტრაქტი სრულად ხორციელდება წევრი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ და დაინტერესებული ორგანიზაციის მიერ გათვალისწინებული სარგებლის მიღება ან უპირატესობის მოპოვება მოსალოდნელია ნებისმიერ ადგილზე.

გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო ძალისხმევის გამოყენებით, რათა შეაჩერონ თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობა, რომლებიც მოქმედებენ მათ საზღვრებში და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის - ისეთი საქმიანობა, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტით ან განხორციელებულია სხვა საშუალებებით მათ ტერიტორიაზე, მაგრამ წარმოშობილია სხვაგან. ეს მიზანი მიღწეული უნდა იყოს ეროვნული და ტრანსნაციონალური საქმიანობის მონიტორინგით, ინფორმაციის გაცვლით და თანამშრომლობით, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისა და უწყებების მეშვეობით კანონის

აღსრულებით. წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ გაცვლიან ინფორმაციას არსებული საერთაშორისო ჩარჩოების ფარგლებში.

## 15. მონაცემთა შეგროვება

აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის სტიმულირებისა და მხარდაჭერისთვის და ანგარიშგების და შედარებითი კვლევების უზრუნველყოფისთვის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების სისტემატურ შეგროვებას თანმიმდევრული ფორმატით, რაც უზრუნველყოფილი იქნება ევროსაბჭოს მიერ.

## 16. მონიტორინგი

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ აკადემიური თაღლითობისა და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის მონიტორინგის სისტემა. ეს უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლების სფეროს სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ანგარიშგებას დანიშნული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, ომბუდსმენი ინსტიტუტის ან ეროვნული კანონმდებლობით შექმნილი სხვა ცენტრალური ორგანოს მიმართ, თითოეულ წევრ სახელმწიფოში ევროპის რეგიონში საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელის/ევროკავშირში აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრების (ENIC/NARIC) და მათი ქსელების, ასევე აღიარების შესახებ ლისაბონის კონვენციის კომიტეტის როლზე განსაკუთრებული მითითებით.

## 17. შეფასება და განხილვა

წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ მათ მიერ ამ რეკომენდაციის შესაბამისად მიღებული სტრატეგიები და პოლიტიკა და მოახდინონ მათი სათანადოდ ადაპტირება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააზიარონ ამ შეფასებების შედეგები ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოითხოვონ ევროპის საბჭოსა და აღნიშნული პლატფორმის დახმარება.

## განმარტებითი მემორანდუმი

### I. რეკომენდაციის საფუძველი

ამჟამად მსოფლიოში არსებობს შეშფოთება აკადემიური თაღლითობის ფენომენის გამო, რომელიც გავლენას ახდენს ყველა წევრ სახელმწიფოსა და განათლების ყველა საფეხურზე. „აკადემიური ეთიკის დარღვევის“ ზოგადი აღწერის ფარგლებში აკადემიური თაღლითობის დიაპაზონი მერყეობს ფიზიკური პირების მიერ პლაგიატიდან (რომელიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საავტორო უფლებების განზრახ ან უნებლიე  დარღვევა) და სხვა პირის სახელით მოქმედების ან სხვისი იდენტობის მითვისების სისხლის სამართლის დანაშაულიდან იმ ორგანიზაციების საქმიანობამდე, რომლებიც მოტყუების განზრახვით ხელს უწყობენ „ესეების ფაბრიკებს“ (სხვაგვარად ცნობილია, როგორც „თაღლითური გარიგება“ ან „აკადემიური წერა შეკვეთით“), „სავიზო ფაბრიკებს“, „აკრედიტაციის ფაბრიკებს“ და „დიპლომების ფაბრიკებს“. ამ რეკომენდაციის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს ორგანიზებული აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლას მიზანმიმართული ეროვნული და საერთაშორისო ქმედებებით, რადგან ასეთი საქმიანობა ეროვნულ საზღვრებს სცილდება. ის გამოხატავს წევრი სახელმწიფოების კოლექტიურ ნებას, რომ მოგვარდეს აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სერიოზული საკითხები.

ესეების ფაბრიკებს აქვთ რთული ბიზნესმოდელები, რომლებიც შემოსავალს იღებენ სტუდენტებისთვის სხვადასხვა ენაზე მზა ან შეკვეთით დაწერილი დავალებების ან დისერტაციების შეთავზებით, ხშირად პლაგიატის საწინააღმდეგო ტექნოლოგიების გვერდის ავლით. ბედის ირონიით, მათ აქვთ ხარისხის უზრუნველყოფის დახვეწილი პროცესი, რაც უზრუნველყოფს „შესყიდული საქონლის მაქსიმალურ ეფექტიანობას“. ესეების ფაბრიკების ბიზნესპროცესების კოლეგიალური კვლევის შედეგები მიუთითებს უაღრესად დახვეწილი ტექნოლოგიების გამოყენებაზე; დავალების შემსრულებლები შეიძლება იმყოფებოდნენ ყველგან, სადაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია. იმის მიუხედავად, რომ წევრმა ქვეყნებმა მიიღეს კანონმდებლობა ასეთი დარღვევების შესახებ, დამნაშავეთა გამოვლენა და დევნა შეიძლება რთული იყოს.[1] ფაქტობრივად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კანონმდებლობამ თავისთავად უზრუნველყოს პრობლემის სრულად გადაწყვეტა; საჭიროა აქცენტი გაკეთდეს ალტერნატივებზე, მათ შორის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებზე. ისევე, როგორც სხვა სფეროებში, სოციალური მედია შეიძლება გამოყენებული იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების პოპულარიზაციისთვის; მეორე მხრივ, ის შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული აკადემიური თაღლითობის ხელშეწყობისთვის და ამიტომ საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა იმუშაოს სოციალური მედიის პლატფორმებთან ამგვარი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

დიპლომების ფაბრიკები, რომლებიც ესეების ფაბრიკების მსგავსად სხვადასხვა ქვეყნიდან მუშაობენ და ზოგჯერ ლეგიტიმური ბიზნესის მიღმა იმალებიან, უზრუნველყოფენ უსარგებლო

[1] კვლევის შედეგების კარგი საცნობარო წყაროა https://edintegrity.biomedcentral.com

კვალიფიკაციებით იმ ადამიანებს, რომლებიც აპირებენ შექმნან ყალბი აკადემიური ჩანაწერი პირადი სარგებლის მიღებისთვის ან შეცდომაში შეჰყავთ სტუდენტები ინტერნეტში განთავსებული სარეკლამო მასალით, რომელიც ქმნის კვალიფიკაციის ადვილად მიღების შესაძლებლობის შთაბეჭდილებას, თუმცა ასეთი კვალიფიკაცია რეალურად ყალბია. ეს ბიზნესები „მუშაობენ მხოლოდ ფულის საშოვნელად – რეგისტრაციის საფასურით, პრემიუმკლასის სატელეფონო ხაზებით, კურსის საფასურით და „ცხოვრების გამოცდილების ხარისხის“ მინიჭებით და ამგავარდ საშუალებას აძლევენ თაღლითებს, რომ არააკრედიტებული ინსტიტუტებისგან მიიღონ ავთენტური დოკუმენტის მსგავსი ხარისხები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია“[2]. ზოგიერთმა დიპლომების ფაბრიკამ ასევე შექმნა არაღიარებული აკრედიტაციის ორგანოები (აკრედიტაციის ფაბრიკები) და/ან ავრცელებს ყალბ ინფორმაციას, რომ აღიარებულია გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო), ევროპის საბჭოს ან სხვა ორგანოს მიერ. იმის მიუხედავად, რომ წევრი ქვეყნების უმეტესობა ეროვნული კანონმდებლობით კრძალავს არაღიარებული კვალიფიკაციის მინიჭებას და არსებობს აღიარებისა და აკრედიტაციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის ეფექტური მექანიზმი, დიპლომების ფაბრიკები ფუნქციონირებენ ადგილებზე და საკუთარ სტატუსს ხშირად არასწორად წარმოაჩენენ ლეგიტიმური ინსტიტუტების მსგავსი სახელების დარქმევით. ასევე არსებობს მაგალითები, როდესაც ვებგვერდები სთავაზობენ ყალბ დიპლომებს, სადაც მითითებულია ლეგიტიმური ინსტიტუტების დასახელებები.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტების შექმნა ახალი მოვლენა არ არის. ევროპულ არქივებში 2021 წელს გამოქვეყნებული კვლევიდან ჩანს, რომ ეს პრაქტიკა სულ მცირე მეათე საუკუნით თარიღდება.[3] ავთენტურის მსგავსი ყალბი დოკუმენტის ხელით შექმნის ხანგრძლივი და რთული პროცესი დღეს გამყალბებლების ინტერნეტში მუშაობით შეიცვალა. მათ საფასურის მიღების სანაცვლოდ ნებისმიერი სახის დიპლომის ან სხვა კვალიფიკაციის სწრაფად უზრუნველყოფა შეუძლიათ . როგორც წესი, ასეთი მიმწოდებლები ცდილობენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას შემდეგი ფორმულირებით: „იმის მიუხედავად, რომ პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ გთავაზობთ, ძალიან ავთენტურად გამოიყურება, ისინი განკუთვნილია მხოლოდ სიახლის მიზნებისთვის გამოსაყენებლად“. თუმცა აშკარაა, რომ ფიზიკური პირები არ გადაიხდიან ათასობით ევროს სიახლის სერტიფიკატების მისაღებად.

თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები ფიზიკურად განთავსებული არიან როგორც ევროპის საბჭოს გეოგრაფიულ არეალში, ისე სხვა ქვეყნებში ან ისინი შეიძლება არსებობდნენ მხოლოდ ვირტუალურად, ამიტომ მათთან საბრძოლველად აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა. მათი საქმიანობა დროთა განმავლობაში გაფართოვდა, განსაკუთრებით ინტერნეტის ადვილად ხელმისაწვდომობის და მათ მიერ სოციალური მედიის გამოყენების გამო.

---

[2] უმაღლესი განათლების ხარისხის მონაცემების შემოწმების პერსპექტივები (HEDD) (2017): „რჩევები და მითითებები ხარისხის გაყალბებასთან დაკავშირებით“, https://luminate.prospects.ac.uk/tag/reports.

[3] როუჩ ლ. (2021), „გაყალბება და მეხსიერება პირველი ათასწლეულის ბოლოს“, პრინსტონის უნივერსიტეტის პრესა, პრინსტონი, ნიუ-ჯერსი.

„ონლაინ“ სწავლებაზე თანდათანობით, ინტენსიური და ალბათ მუდმივი გადასვლა, რაც დაჩქარდა კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგად, ზრდის აკადემიური თაღლითობის რისკს.

აკადემიური თაღლითობა უფრო დიდ საფრთხედ მიიჩნევა, ვიდრე ეს უბრალოდ კვალიფიკაციების ავთენტურობაა, იქნება ეს დადასტურებული ქაღალდის დიპლომებით თუ განათლების დამადასტურებელი ციფრული დოკუმენტებით. მიიჩნევა, რომ ეს გავლენას ახდენს თითოეული წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო რეპუტაციაზე, მათ შორის, მათი განათლების სისტემების მიმართ ნდობაზე და შესაბამისად სტუდენტების საერთაშორისო მობილობაზე. პირებმა, რომლებიც ფლობენ ყალბ კვალიფიკაციას ან იძენენ კვალიფიკაციას თაღლითური საშუალებებით, შეიძლება საკუთარი თავი ჭეშმარიტი კვალიფიკაციის მქონედ წარმოაჩინონ, რაც მათ საშუალებას მისცემს, რომ გვერდი აუარონ საიმიგრაციო შეზღუდვებს, თაღლითურად დასაქმდნენ ან იმუშაონ პროფესიულ სფეროებში, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ასეთი საფრთხეების მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ხარისხის დონის კვალიფიკაციებს მედიცინაში და პროფესიებში, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინასთან და სოციალურ ზრუნვასთან, საინჟინრო მეცნიერებებში, არქიტექტურაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, უფრო დაბალი დონის ყალბი კვალიფიკაციის ფლობა შესაძლებელს ხდის ისეთ სფეროებში დასაქმებას, როგორიცაა ბავშვზე ზრუნვა, სიცოცხლის გადარჩენა და მასთან დაკავშირებული სფეროები ან კონკრეტული პროფესიები, სადაც არსებობს რისკები ადამიანის სიცოცხლისთვის, რაც შესაბამისად საფრთხეს უქმნის მთლიანად საზოგადოებას. დამსაქმებლებისთვის რთულია, რომ მოახდინონ ყალბი დოკუმენტების ამოცნობა და არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც სხვადასხვა სფეროში არაკვალიფიციური პირები მუშაობდნენ. ნებისმიერი დონის ყალბი კვალიფიკაციის შეძენა კვებავს კრიმინალურ ორგანიზაციებს, ასუსტებს განათლებისა და მიღწევების ღირებულებას, ძირს უთხრის მერიტოკრატიას და ხელს უწყობს ტყუილს და უსამართლობას. „ყალბი დიპლომების ინდუსტრია” ჩვეულებრივ უზრუნველყოფს პაკეტებს, მათ შორის პირადობის დამადასტურებელ ყალბ დოკუმენტებს, როგორიცაა დაბადების მოწმობა, პასპორტი და მართვის მოწმობა. ამგვარად, საერთაშორისო თანამშრომლობით ასეთი საქმიანობის შეჩერება აშკარა სარგებელს მოიტანს.

ასეთი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობა ასახულია ევროპის საბჭოს განათლების პროგრამაში, როგორც მოცემულია წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2012)13 რეკომენდაციაში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ. აკადემიური თაღლითობა შეიძლება განცალკევდეს განათლების სფეროში კორუფციის უფრო ფართო საკითხისგან, თუმცა ამ რეკომენდაციის განმარტებით მემორანდუმში გაკეთებული განცხადება, რომ „კორუფცია არის რეალური ან პოტენციური საკითხი ყველა ქვეყანაში და ყველა სახის და საფეხურის განათლებისთვის“, ასევე ეხება აკადემიურ თაღლითობას. განათლების სფეროში კორუფციასთან ერთად აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის აშკარა პოლიტიკური მანდატი მოცემულია ევროპის საბჭოს განათლების მინისტრების მმართველობისა და ხარისხიანი განათლების იმ მუდმივმოქმედი კონფერენციის საბოლოო დეკლარაციაში, რომელიც გაიმართა ჰელსინკში 2013 წლის 26 და 27 აპრილს. ამ დეკლარაციის მიხედვით „მინისტრთა კომიტეტს ეთხოვა, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის მართვის კომიტეტს

(CDPPE)[4] […]:21.1. დაავალოს განათლების ეთიკისა და კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციის და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის პანევროპული პლატფორმის შექმნა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განათლებისა და კვლევის სფეროში კორუფციისა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლას „ევროპაში ხარისხიანი განათლებისთვის ჰელსინკის დღის წესრიგის“ განხორციელების მიზნით“.

კერძოდ, ასეთმა პლატფორმამ აქცენტი უნდა გააკეთოს:

- განათლებისა და კვლევის სფეროში აქტიური პროფესიონალების პოზიტიური ქცევის კოდექსებზე, რომლებიც შეავსებს ანტიკორუფციულ და თაღლითობის საწინააღმდეგო კანონმდებლობას;
- ყველა აქტორის შესაძლებლობების გაძლიერებაზე;
- დამხმარე სტრუქტურებზე (აკრედიტაციის ან ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები);
- სამართლიანობისა და გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე;
- გამჭვირვალობაზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზე დაფუძნებული დემოკრატიისა და მონაწილეობის კულტურის განვითარებაზე.

ეს CM/Rec(2022)18 რეკომენდაცია აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ წარმოადგენს ამ მანდატის პირდაპირ გაგრძელებას და განათლების სფეროში ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მუშაობის შედეგია, რომელიც შეიქმნა ჰელსინკის მინისტრთა კონფერენციის შემდეგ.

ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმა არის ევროპისკულტურული კონვენციის (ETS No. 18) 50 მონაწილე მხარის მიერ დანიშნული სპეციალისტების ქსელი. ის ამოქმედდა 2015 წლის ოქტომბერში პრაღის მეშვიდე ფორუმზე სახელწოდებით „განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პანევროპული პლატფორმისკენ“. მისი წარმომადგენლები იკრიბებიან წელიწადში ერთხელ, რათა განიხილონ ევროპის საბჭოს საქმიანობა ამ სფეროში და შეაფასონ მიღწეული პროგრესი.

ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მანდატი ეფუძნება დაშვებას, რომ ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების საკითხები განათლების ხარისხის აუცილებელი წინაპირობაა. აქედან გამომდინარე, აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლა ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების ყველა შესაბამისი სექტორი საჯარო და პროფესიულ ცხოვრებაში სრულად დაიცავს ეთიკის პოზიტიურ ფუნდამენტურ პრინციპებს და არ დაეყრდნობა მხოლოდ მარეგულირებელ ღონისძიებებს, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს ღონისძიებები. ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმა უზრუნველყოფს განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების მიმართ პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას.

[4] საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის მართვის კომიტეტს (CDPPE) 2022 წლის იანვრიდან ეწოდა განათლების მართვის კომიტეტი (CDEDU).

კერძოდ, ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მისია შემდეგია:

- განათლების სფეროში კარგი მმართველობის, დემოკრატიის და მონაწილეობის კულტურისა განვითარების მხარდაჭერა ყველა დონეზე ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობით,
  (განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება განათლების სფეროში კორუფციისა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაზე);
- პოლიტიკური მიდგომებისა და ინსტრუმენტების შემუშავება და ზოგადად განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ყველა შესაძლო გზით წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციისა და კარგი პრაქტიკის გაზიარება;
- განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ეროვნული და რეგიონული საპილოტე პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და საექსპერტო ცოდნის გაღრმავება დაინტერესებული ქვეყნების მხარდაჭერისთვის.

პირველ რიგში, ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმამ გადაწყვიტა სამ ძირითად თემაზე ფოკუსირება:

- განათლების სფეროში ჩართული ყველა პირის ეთიკური ქცევა და მასწავლებლებისა და განათლების პროფესიონალების ეთიკის კოდექსები;
- აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატი უმაღლესი განათლების სექტორში;
- დიპლომების ფაბრიკების საკითხი კვალიფიკაციების აღიარების კონტექსტში.

ამ რეკომენდაციის ამოცანაა განიხილოს მეორე და მესამე თემები. 2018 წელს, ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმამ გადაწყვიტა შეექმნა სპეციალური საექსპერტო სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალებოდა წევრი სახელმწიფოებისთვის აკადემიურ თაღლითობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციის შემუშავება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდებოდა განათლების სფეროში ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობაზე ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად. პოლიტიკის ჩარჩოს პროექტი, რომელიც გახდა ამ რეკომენდაციის ტექსტი, მომზადდა სამუშაო ჯგუფის მიერ და წარედგინა ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის შეხვედრას, რომელიც გაიმართა პრაღაში 2019 წლის ნოემბერში. შეგროვდა დელეგატების კომენტარები და ტექსტის გაუმჯობესების წინადადებები და ტექსტი კიდევ ერთხელ გადაისინჯა. შემდგომში ტექსტი განხილული იქნა რეკომენდაციის საკმარისი მოქნილობის უზრუნველსაყოფად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კოვიდ 19-ის პანდემიის ფონზე მზარდ აკადემიურ თაღლითობასთან გამკლავება. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული საბოლოო პროექტი წარედგინა ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის ვირტუალურ შეხვედრას, რომელიც გაიმართა 2021 წლის ნოემბერში. რეკომენდაციის პროექტი 2022 წლის

თებერვალში განიხილა განათლების ბიუროს მმართველმა კომიტეტმა (CDEDU), სანამ ის დამტკიცდებოდა ამ კომიტეტის პლენარული სხდომის მიერ 2022 წლის მარტში.

## II. კომენტარები რეკომენდაციის დებულებებზე

### პრეამბულა და ფორმალური პუნქტები

პრეამბულა განიხილავს ამ რეკომენდაციას ისტორიულ და თემატურ კონტექსტში, ევროსაბჭოს და სხვა შესაბამის საერთაშორისო კონვენციებზე, ასევე მინისტრთა კომიტეტის და საპარლამენტო ასამბლეის განსაკუთრებით აქტუალურ რეკომენდაციებზე მითითებით.

პრეამბულა ასევე განსაზღვრავს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პოპულარიზაციის მიმართ. ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების პლატფორმის მიერ განსაზღვრული პრინციპები წარმოადგენს ამ რეკომენდაციის ძირითად საფუძველს.

პრეამბულა შემდგომ ახსენებს ევროპის საბჭოს ძირითად მისიას და იმ როლს, რომელსაც ასრულებს განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობაში და მიუთითებს ამ რეკომენდაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ძირითად სტანდარტებზე. კონვენცია ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ (ETS No. 165, აღიარების შესახებ ლისაბონის კონვენცია),[5] რომელიც წარმოადგენს ძირითად ევროპულ სამართლებრივ ტექსტს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების თაობაზე, ხაზს უსვამს, რომ ამ მხრივ არ უნდა განხორციელდეს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით, როგორიცაა განმცხადებლის სქესი, რასა, ფერი, შეზღუდული შესაძლებლობა, ენა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულება, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა.

წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2007)6 რეკომენდაცია
უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე საჯარო პასუხისმგებლობის შესახებ განსაზღვრავს უმაღლესი განათლებისა და კვლევის მრავალმხრივ მიზნებს და ხაზს უსვამს, რომ „დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოებების ღირებულებების შესაბამისად, საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მათი ავტონომიის განხორციელებისას, დააკმაყოფილონ საზოგადოების მრავალი მოლოდინი და შეასრულონ მათი სხვადასხვა და თანაბრად მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლებიც მოიცავს:

- სტაბილური დასაქმებისთვის მომზადებას;
- დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისთვის მომზადებას;
- პერსონალურ განვითარებას;

[5] კონვენცია ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ (ლისაბონი, 1997), ევროპის საბჭო (ETS No. 165).

– ფართო და მოწინავე ცოდნის ბაზის შენარჩუნებას და განვითარებას სწავლის, სწავლებისა და კვლევის მეშვეობით.

წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2012)13 რეკომენდაცია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ ხაზს უსვამს, რომ კორუფცია (რომელიც ამ მიზნით მოიცავს აკადემიურ თაღლითობას) შეუთავსებელია ხარისხთან.

ტრანსსასაზღვრო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის იუნესკოსა და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებები ასახავს, თუ როგორ უნდა გაინაწილონ პასუხისმგებლობები მთავრობებმა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა/უმაღლესი განათლების მიმწოდებლებმა, სტუდენტურმა ორგანიზაციებმა, ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის ორგანოებმა, გამგზავნი და მიმღები ქვეყნების აკადემიურმა და პროფესიული აღიარების ორგანოებმა, უმაღლესი განათლების სისტემების მრავალფეროვნების პატივისცემით.

წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2014)7 რეკომენდაცია
მამხილებელთა დაცვის შესახებ და საპარლამენტო ასამბლეის 2162 (2019) რეკომენდაცია მთელ ევროპაში მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესების შესახებ შეესაბამება ამ რეკომენდაციას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური თაღლითობის შედეგად დაზარალებულ პირებს შეეძლოთ შესაბამის ორგანოებში პრობლემების წამოჭრა.

რეკომენდაციის პირველ პუნქტში ფრაზა „მათი კონსტიტუციური წყობის, ეროვნული და ადგილობრივი კონტექსტისა და განათლების სისტემის პატივისცემით“ გამიზნულია იმისათვის, რომ გათვალისწინებული იქნეს განათლების სფეროში კომპეტენციების ხარისხი და ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების განათლების სისტემების მრავალფეროვნება. ამ მეტნაკლებად ცენტრალიზებულ სისტემებში განათლების სისტემის გარკვეულ ნაწილებზე პასუხისმგებლობა შესაძლოა სახელმწიფო ხელისუფლებისგან მუნიციპალიტეტებს გადაეცეს. ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმამ აღიარა და მოიწონა ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის (შემდგომ „კანონმდებლობა“) მიღება, რომელიც ახდენს აკადემიური თაღლითობის ზოგიერთი ქმედების კრიმინალიზაციას ან უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებს ასეთი ქმედებების მიმართ, თუმცა კანონმდებლობის აღსრულება და დამნაშავეების გამოვლენა და დევნა შეიძლება რთული იყოს. რა თქმა უნდა, წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაა, რომ უზრუნველყონ სათანადო ბალანსი კანონმდებლობასა და სხვა ღონისძიებებს შორის რეკომენდაციაში მითითებული პრობლემების მოსაგვარებლად. თუმცა, საერთაშორისო დონეზე ხარისხიანი განათლების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა გარკვეული სახის თანამშრომლობა, როგორც ეს შეთავაზებულია ამ რეკომენდაციაში. ამიტომ ეროვნული კანონმდებლობა, იმის მიუხედავად, რომ პოზიტიური ფაქტორია, შეიძლება არ იყოს საკმარისი ტრანსსასაზღვრო განათლების სფეროში თაღლითურ საქმიანობასთან საბრძოლველად.

ტექსტი გრძელდება იმ ფაქტზე მითითებით, რომ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ აკონტროლონ და განიხილონ  იმ საქმიანობების სია, რომლებიც წარმოადგენს აკადემიური თაღლითობას და დაიცვან მოსწავლეები და სტუდენტები იმ ორგანიზაციებისა და პირებისგან, რომლებიც ეწევიან აკადემიური თაღლითობის რეკლამას და პოპულარიზაციას ინტერნეტის, სოციალური მედიის, რეკლამის და სხვა საშუალებების გამოყენებით. მონაცემთა უსაფრთხოება გაუმჯობესებულია რეგიონული და გლობალური ინიციატივებით, როგორიცაა მონაცემთა გაცვლის ელექტრონული სისტემა (EMREX) [6] და გრონინგენის დეკლარაციის ქსელი [7], რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტების მონაცემების ციფრული საცავების შექმნას და ამ მონაცემების ელექტრონულ გაცვლას. აუცილებელია, რომ რეკომენდაცია იყოს საკმარისად მოქნილი, რათა მიმდინარე გამოწვევებს გაუმკლავდეს.

**CM/Rec(2022)18 რეკომენდაციის დანართი**

**1. მიზანი და მასშტაბი**

ეს ნაწილი აღწერს რეკომენდაციის არსს, მის მიზნებსა და სამიზნე სუბიექტებს. იგი ხაზს უსვამს „საჯარო ხელისუფლების და/ან  პროფესიული ორგანოების და კერძო ორგანიზაციებისა და კომპანიების პასუხისმგებლობას განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების  პრინციპების ხელშეწყობაში და აკადემიურ თაღლითობაზე რეაგირებაში“.

რეკომენდაცია ასევე ემსახურება ყველა მოსწავლის განათლების უფლების მხარდაჭერას. წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2012)13 რეკომენდაციაში  ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ აღნიშნულია: „ხარისხიანი განათლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე და აღქმული უნდა იქნეს, როგორც განათლების სისტემაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ასევე სწავლისა და სწავლების ისეთი პირობებით სარგებლობა, რომლებიც იძლევა გონივრულ საშუალებას, რომ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა წარმატებით დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სადაც არიან ისინი ჩარიცხული“.

რეკომენდაციის დებულებები ეხება განათლების ყველა საფეხურს, დაწყებითი განათლებით დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით, მათ შორის - პროფესიულ განათლებას, რადგან ეთიკის პრინციპები მთელ განათლების სისტემაში უნდა მოქმედებდეს. ამიტომ, რეკომენდაცია არ განასხვავებს  განათლების სხვადასხვა მიმართულებას.

იგივე ლოგიკა ვრცელდება საჯარო და კერძო განათლებაზე. საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები თანაბრად უნდა უწყობდნენ ხელს ეთიკურ პრინციპებს და განათლების სისტემებმა უნდა დააწესონ ხარისხისა და ეთიკის ერთი და იგივე სტანდარტები, განათლების სისტემაში არსებული ინსტიტუტების ფორმალური სტატუსის მიუხედავად.

[6] https://emrex.

[7] https://www.groningendeclaration.org/.

## 2. განსაზღვრებები

**ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის პრინციპები და ეთიკის კოდექსები**

ეს რეკომენდაცია ეფუძნება ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მიერ შემუშავებულ პრინციპებსა და ღირებულებებს. ფუნდამენტური დაშვებაა, რომ ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ რეკომენდაციით, მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც მოიცავს განათლების სფეროში ჩართული საზოგადოების ყველა ასპექტს, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს აკადემიურ კეთილსინდისიერებას და ეს მიზანი პრაქტიკულად იქნეს მიღწეული საგანმანათლებლო გარემოში და ცხოვრებაში.

ეს ჰოლისტიკური მიდგომა მოიცავს ამ რეკომენდაციით განსაზღვრულ ეთიკის კოდექსებს, რომლებიც „ზნეობრივი და ეთიკური ღირებულებებისა და პრინციპების გამოხატულებაა“. ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის, ისინი უზრუნველყოფენ განათლების ყველა დონეზე ეთიკური ქცევის ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას, გამჭვირვალობას და აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდაჭერას და ხელშეწყობას.

ეთიკის კოდექსები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კონტექსტს და ამ რეკომენდაციის პოლიტიკას, ხელმისაწვდომი და შესაბამისი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ეთიკის კოდექსები განხილული და შესწორებული უნდა იქნეს, რათა მათში აისახოს იმ გარემოში არსებული ცვლილებები, რომელშიც ეს რეკომენდაცია მოქმედებს.

ეთიკის კოდექსები უნდა შემუშავდეს და გადაისინჯოს სათანადოდ, მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით, დადგენილ სტანდარტებზე საკუთრების და პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით. მონაწილეობითი მიდგომა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსების დანერგვას საგანმანათლებლო კულტურასა და ტრენინგის პროცესში და ამგვარად ხელს შეუწყობს აკადემიურ კეთილსინდისიერებას. ეთიკის კოდექსების წარმატებით აღსრულებას დასჭირდება ცნობიერების ამაღლების მასშტაბური და სტაბილური კამპანია, განათლების უზრუნველყოფაში ჩართული პირების ტრენინგთან ერთად.

ეთიკის კოდექსები იმოქმედებს, როგორც სასარგებლო სახელმძღვანელო და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესში დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული საჯარო ორგანოების, მასწავლებლების, ადმინისტრატორებისა და განათლების პროფესიონალების აკადემიურ კეთილსინდისიერებას. მაგალითად, ეთიკის კოდექსები უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა საფეხურს და ითვალისწინებდეს სწავლების დონეს - დაწყებითი განათლებიდან უმაღლეს განათლებამდე და ასევე პროფესიულ მომზადებას.

ამ რეკომენდაციაში მოცემული ყველა პრინციპი გამოყენებული უნდა იყოს ეთიკის კოდექსის შედგენის, განხორციელებისა და განხილვის სხვადასხვა ეტაპზე. ეს პრინციპები უნდა ჩაითვალოს იმ ნორმების შემავსებელ დებულებებად, რომლებიც არეგულირებს საჯარო მოხელეების დასაქმებას.

ეთიკის კოდექსებში მოცემული პრინციპებისა და ღირებულებების პოპულარიზაცია, ასევე მათი განხორციელების სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფა უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, მასწავლებელთა და მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციების, საჯარო ხელისუფლების (ნებისმიერი აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ორგანო ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ან ადმინისტრატორები) პასუხისმგებლობა, ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად. მითითება შეიძლება გაკეთდეს CM/Rec(2019)9 რეკომენდაციაზე მასწავლებლის პროფესიაში ეთიკის კულტურის შესახებ[8]. იმის მიუხედავად, რომ ეს რეკომენდაცია არ გამოიყენება ექსკლუზიურად ამ კონტექსტში, ის სასარგებლო წყაროა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთიკის კოდექსების მნიშვნელობის გაგებისთვის.

**აკადემიური თაღლითობა და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები**

ამ რეკომენდაციაში გამოყენებული „აკადემიური თაღლითობის“ და „თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის“ განმარტებები ამომწურავი არ არის, რადგან აღიარებულია, რომ აკადემიური თაღლითობა და მისი ხელშემწყობები და ჩამდენები აგრძელებენ ადაპტაციას და განავითარებას. თუმცა ეს განმარტებები ეფუძნება შესაბამის ლიტერატურაში ფართოდ მიღებულ განსაზღვრებებს. თაღლითობის ცნება კარგად არის გააზრებული და ევროპის საბჭომ მასზე რეაგირება ადრეც მოახდინა, მაგალითად, 1327-ე წესში (2011 წლის 10 იანვარი) თაღლითობისა და კორუფციის შესახებ ინფორმირებულობისა და პრევენციის შესახებ.[9]

ამ წესში ტერმინი „თაღლითობა“ გამოიყენება მოტყუებით, დამალვით ან ნდობის დარღვევით ნებისმიერი უკანონო ქმედების ან უმოქმედობის აღსანიშნავად, რომელიც ჩადენილია ფულის, ქონების ან მომსახურების მისაღებად, გადახდის ან მომსახურების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ანდა პირადი ან საქმიანი უპირატესობის მოსაპოვებლად, ძალადობის ან ფიზიკური ძალის გამოყენების მუქარის მიუხედავად. ამ რეკომენდაციის კონტექსტში, აკადემიური თაღლითობა ძირითადად ორიენტირებულია ქმედებებზე და მომსახურების მიწოდებასა და მოთხოვნაზე, რაც გამიზნულია მოტყუებისა და/ან უსამართლო უპირატესობის მინიჭებისთვის განათლების სფეროში, რაც ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, მოიცავს ამ მომსახურებისთვის ფულის გადახდას ან ქონების მიღებას. მაგალითები მოიცავს მოტყუებას სხვა პირის სახელით მოქმედების მეშვეობით შეფასების დროს ან მტკიცებას, რომ პირს მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან გარკვეული აკადემიური სტატუსი ან ფლობს უნარს მაშინ, როდესაც შესაბამის პირს რეალურად არ აქვს კანონიერად მიღებული კვალიფიკაცია ან სტატუსი ანდა სრულად ან

[8] https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680983b3e.
[9] https://rm.coe.int/0900001680781d57.

ნაწილობრივ არ შეუსრულებია აკადემიური კრედიტების მისაღებად  საჭირო ის სამუშაო, რის საფუძველზეც ხდება კვალიფიკაციის ან აკადემიური სტატუსის მინიჭება. ყველა ეს ქმედება ძირს უთხრის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების და სტატუსის კეთილსინდისიერებას და ზიანს აყენებს განათლების მიმწოდებლების რეპუტაციას ეროვნულ გარემოში, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს შესაბამისი ქვეყნის რეპუტაციასა და მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ეროვნული ინტერესი და ქვეყნის ეკონომიკური წარმატება მოითხოვს განათლებულ და მომზადებულ პირებს, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ შეასრულონ ის სამუშაო, რისთვისაც აშკარად კვალიფიციური არიან. განათლება, კვლევა და ინოვაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური სოლიდარობის, ეკონომიკური ზრდის, ეროვნული სტაბილურობის და გლობალური კონკურენტუნარიანობისთვის. რადგან ქვეყნები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებული ცოდნაზე, განათლება სამართლიანად მიიჩნევა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების აუცილებელ კომპონენტად.

ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრი (EQAR)  არის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის იმ სააგენტოების ოფიციალური რეესტრი, რომლებიც არსებითად იცავენ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG)[10].

ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის მიხედვით „დიპლომების ფაბრიკები“ ან „ხარისხების ფაბრიკები“  (ხშირად ინტერნეტში დაფუძნებული) აღნიშნავს სუბიექტებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც აცხადებენ, რომ გასცემენ ხარისხებს, დიპლომებს ან სერტიფიკატებს თანხის სანაცვლოდ მაშინ, როდესაც არ ხდება შესაბამისად მომზადება და ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების რეალურად შეფასება.[11] ეს სუბიექტები ჩვეულებრივ არ არიან აღიარებული უმაღლესი განათლების რომელიმე ეროვნული ორგანოს მიერ, თუმცა მათ შეუძლიათ მიიღონ აღიარება ხარისხის გამცემი სხვადასხვა  ორგანოსგან, როგორიცაა აკრედიტაციის ფაბრიკები.

ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის მიხედვით დიპლომებისა და ხარისხების ფაბრიკები ჩვეულებრივ ხასიათდება ქვევით ჩამოთვლილი თვისებებით:

- შესაძლებელია ხარისხის ადვილად შეძენა ან მოდიფიცირება;
- სუბიექტი აცხადებს, რომ მას აქვს გარე აკრედიტაცია, მაგრამ არ არსებობს ამის მტკიცებულება ან გარე აკრედიტაციის გამცემი წარმოადგენს აკრედიტაციის ფაბრიკას ან გარკვეულ ქვეყანას, კუნძულს ან სახელმწიფოს, სადაც განათლების მიმწოდებლების საქმიანობა და აკრედიტაცია ნაკლებად რეგულირდება ან ასეთი რეგულაციები საერთოდ არ არსებობს;
- სუბიექტი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ იგი აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ,  როგორიცაა ევროპის საბჭო ან იუნესკო, თუმცა არცერთი მათგანი არ ანიჭებს

[10] https://www.eqar.eu/kb/esg/.

[11] სხვა შესაბამისი განსაზღვრებები იხილეთ https://www.chea.org/.

ნებისმიერი სახის ლეგიტიმაციას ნებისმიერ უმაღლესი განათლების დაწესებულებას ან პროგრამას;

- სუბიექტი ვერ უზრუნველყოფს თავისი ფაკულტეტის წევრების ან პერსონალის და მათ შესაბამისი კვალიფიკაციების სიას;
- ნაკლებად მოითხოვება სტუდენტების დასწრება დისტანციური სწავლების გაკვეთილებზე ან აუდიტორიაში ან ასეთი მოთხოვნა საერთოდ არ არსებობს;
- ორგანიზაციის ან მისი კამპუსის ფიზიკური მისამართი არ არის გაცხადებული ან მხოლოდ საფოსტო ყუთის მისამართია მითითებული;
- დიპლომის ან სერტიფიკატის ნიმუში წარმოდგენილია ორგანიზაციის ვებგვერდზე;
- ორგანიზაციას აქვს სხვა ცნობილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მსგავსი დასახელება;
- გადახდისთვის ვებგვერდზე უზრუნველყოფილია სხვადასხვა მეთოდები და ბარათები;
- ორგანიზაცია შეიძლება აკეთებდეს „არატრადიციული განათლების“ ან „დისტანციური სწავლების“ და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე კრედიტების აღიარების შეთავაზებას.[12]

ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრი აღნიშნავს, რომ აკრედიტაციის ფაბრიკები წარმოადგენს ყალბი ხარისხების უზრუნველყოფის სააგენტოებს, რომლებიც ვითომდა ახორციელებენ გარე ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს საეჭვო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა დაეხმარონ მათ ლეგიტიმურად წარმოჩენაში.

აკრედიტაციის ფაბრიკები, როგორც წესი, ხასიათდება ერთი ან მეტი შემდეგი თვისებით:

- ორგანიზაციას საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს დაწესებულებების სია ან პროგრამები, რომლებიც ვითომ მათ მიერ არის აკრედიტებული/შეფასებული/აუდიტირებული მაშინ, როდესაც ამ ინსტიტუტებისთვის და პროგრამებისთვის ცნობილი არ არის მათი ასეთ სიაში მითითების ან გარე „შეფასების“ შესახებ. ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ის აღიარებულია ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის ან ეროვნული ორგანოს მიერ, თუმცა ეს ასე არ არის;
- ორგანიზაციას გამოქვეყნებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მხოლოდ რამდენიმე სტანდარტი ან ასეთი სტანდარტები საერთოდ არ აქვს გამოქვეყნებული;
- ორგანიზაციის მიერ გარე განხილვისთვის საჭირო დრო ძალიან მცირეა;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურა არ საჭიროებს გარე განხილვის საბჭოს მიერ შეფასებას;
- ორგანიზაცია ანიჭებს ხარისხის უზრუნველყოფის „მუდმივ“ ეტიკეტებს

[12] იხილეთ: უმაღლესი აკრედიტაციის საბჭო (CHEA), https://www.chea.org/; ევროპის რეგიონის საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი (ENIC) და აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრები ევროკავშირში (NARIC), www.enic-naric.net/.

შემდგომი პერიოდული შეფასების ნებისმიერი მოთხოვნის გარეშე;

- ორგანიზაციის დასახელება სხვა აღიარებული და კარგად ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს სახელწოდების მსგავსია.[13]

ასევე უნდა აღინიშნოს „დიპლომების ფაბრიკების და სხვა საეჭვო ინსტიტუტების შესახებ სახელმძღვანელო“, რომელიც გამოქვეყნდა FRAUDOC პროექტის ფარგლებში სათაურით: „სახელმძღვანელო დიპლომების ფაბრიკების და დოკუმენტების გაყალბების შესახებ დიპლომებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების შემფასებლებისთვის“.[14]

„სავიზო ფაბრიკები“ დიპლომების ფაბრიკის ტიპის ორგანიზაციად შეიძლება ჩაითვალოს. ამტკიცებენ რა, რომ წარმოადგენენ აღიარებულ განათლების მიმწოდებლებს, როგორიცაა უნივერსიტეტი ან კოლეჯი, სავიზო ფაბრიკები გვერდს უვლიან ან არღვევენ სავიზო კანონებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სტუდენტური ვიზების შეთავაზებით, რომლებიც მათ აძლევს ქვეყანაში დარჩენის და მუშაობას საშუალებას. სავიზო ფაბრიკები, როგორც წესი, იყენებენ დროებით მისამართებსა და შენობებს, რომლებიც შეუფერებელია განათლებისთვის.

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) მიხედვით, „თაღლითური გარიგება“ არის მესამე მხარის მიერ სტუდენტის ნაცვლად სამუშაოს შესრულება, რომელიც შემდეგ ამ ნამუშევარს განათლების მიმწოდებელს წარუდგენს, როგორც საკუთარს, როდესაც ასეთი დახმარება ნებადართული.არ არის. ფიზიკურ პირებს, ორგანიზაციებს ან კომპანიებს, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც „ესეების ქარხნები“, ასეთი სამუშაოს შესრულებისთვის თანხას უხდიან. ზოგიერთი ეს სუბიექტი შესაძლოა უზრუნველყოფდეს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო მომსახურებას, როგორიცაა ზოგადი სასწავლო დამხმარე საშუალებები, რათა მისი საქმიანობა ლეგიტიმურად წარმოჩინდეს. როგორც წესი, კომპანია ან ორგანიზაცია იყენებს გარე რესურსებს შეკვეთილი ნამუშევრების შესასრულებლად. ტერმინი „თაღლითური გარიგება“ შეიძლება ასევე ეხებოდეს სიტუაციას, როდესაც სტუდენტის ნაცვლად მის სამუშაოს სრულად ან ნაწილობრივ ასრულებენ ოჯახის წევრები ან უფრო ხშირად თანაკურსელები ან მეგობრები, ამიტომ „თაღლითური გარიგება“ ყოველთვის არ გულისხმობს თანხის გადახდას.

ესეების ფაბრიკები თითქმის ყოველთვის ექსკლუზიურად ინტერნეტში დაფუძნებულ ერთეულებს წარმოადგენს. ისინი მოქმედებენ მთელ მსოფლიოში და საფრთხეს უქმნიან გლობალური განათლების კეთილსინდისიერებას. გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ცნობით, გამოძალვა და შანტაჟი სულ უფრო დიდი საფრთხე ხდება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც იყენებენ ესეების ფაბრიკებს. პერსონალური მონაცემები შეიძლება ინახებოდეს ინტერნეტში მინიმალური დაცვის პირობებში ან ასეთი დაცვა საერთოდ არ არსებობდეს, რაც კლიენტებს უქმნის მათი პირადობის მითვისების ან საბანკო თაღლითობის საფრთხეს.

[13] იხილეთ უმაღლესი აკრედიტაციის საბჭო (CHEA) წყარო იგივეა.

[14] https://www.cimea.it/Upload/Documenti/Guidelines-on-Diploma-Mills.pdf.

აკადემიური თაღლითობის სხვა ფორმების მსგავსად, თაღლითური გარიგება ხელს უშლის განათლების მიმწოდებლების უნარს, რომ დაიცვან საკუთარი კვალიფიკაციების სტანდარტები და ასევე საფრთხეს უქმნის ეროვნული განათლების სისტემის და მასპინძელი ქვეყნების რეპუტაციას.

არსებობს მნიშვნელოვანი რისკები ცალკეული ქვეყნების საზოგადოებებისთვის, რადგან კონკრეტული პირები შესაძლოა ეროვნულ გარემოში არაადეკვატურ პროფესიულ უნარებს იძენდნენ.[15]

„ესეების ბანკი“ არის კომპანია ან ორგანიზაცია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეიძინონ წინასწარ დაწერილი ესეები. ეს შეიძლება იყოს ესეების ფაბრიკის მიერ შეთავაზებული მომსახურება.

შესაბამისი ტერმინების სასარგებლო ლექსიკონი[16] მოცემულია „ერასმუს +“-ის ვებგვერდზე.

ტერმინი „განათლების სფეროს დაინტერესებული მხარეები“ ფართოდ არის განსაზღვრული იმ პრინციპის განსამტკიცებლად, რომ ეთიკური ქცევის განვითარებაზე და აკადემიური თაღლითობის აღმოფხვრის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ყველა შესაბამისი წევრი.

**3. ცნობიერების ამაღლება და ინფორმაცია**

ინიციატივები, რომლებიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო გარემოში ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის მიწოდებაზე, არის პირველი ნაბიჯი აკადემიური თაღლითობის თავიდან ასაცილებლად. ამ თვალსაზრისით, უმაღლესი განათლების მსოფლიო მონაცემთა ბაზა (WHED), რომელიც შეიქმნა უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის მიერ იუნესკოსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციას მთელ მსოფლიოში უმაღლესი განათლების სისტემების, დიპლომებისა და სერტიფიკატების და აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ. ცნობიერების ამაღლება ხელს უწყობს შესაბამისი პოლიტიკის, რეგულაციებისა და კანონების მიღებას და გაუმჯობესებას, რაც იძლევა აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ მიზანმიმართული და გააზრებული ბრძოლის საშუალებას. ასეთი ქმედება, ეთიკის კოდექსებთან და ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების სტრატეგიების შემუშავებასთან ერთად, ხელს უწყობს შესაბამისი გამოცდილების მქონე პირების ახალ კვლევებსა და დასკვნებზე წვდომას.

ცნობიერების ამაღლება და სხვა შესაბამისი აქტივობები ეროვნულკონტექსტს უნდა მოერგოს და გამოყენებული უნდა იქნეს როგორც არსებული პოლიტიკა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები, ისე ახალი ინიციატივები, ეთიკური ქცევისა და ხარისხიანი განათლების მხარდასაჭერად. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს განათლების სისტემებზე და ინსტიტუტებზე მოქმედი აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები და მონიტორინგი საერთო სტანდარტების დაცვით. ეს მოითხოვს შესაბამისი

[15] www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/contracting-to-cheat-in-higher-education-2nd-edition.pdf.
[16] https://erasmus-plus.ec.europa.eu/node/76/printable/pdf.

ეროვნული სააგენტოს მიერ ზედამხედველობას, რაც უნდა აისახოს შემდგომი მოქმედებისთვის რეკომენდაციების შემცველ ანგარიშებში. ეს რეკომენდაციები უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ მონიტორინგს, რაც აკადემიური თაღლითობის ადაპტირებისა და განვითარების პირობებში იძლევა განხორციელებული ღონისძიებების მუდმივად გაუმჯობესებისა და გაძლიერების საშუალებას. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ხარისხის დამოუკიდებლად და ავტონომიურად უზრუნველყოფის როლი გადამწყვეტია საგანმანათლებლო სისტემებისა და ინსტიტუტების მხარდაჭერისთვის, მათ მიერ აკადემიურ თაღლითობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტების მიერ მიღებული კვალიფიკაციები ლეგიტიმურად იყოს მიღწეული და ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ დიპლომებს, კვალიფიკაციებსა და სერტიფიკატებს, წარმოადგენდნენ ლეგიტიმურად ავტორიზებულ ერთეულებს. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის ეფექტიანი პროცედურები ხელს უნდა უწყობდეს ნებისმიერი ფორმის განზრახ ან უნებლიე აკადემიური თაღლითობის იდენტიფიცირებას, რომელიც განხორციელებულია ლეგიტიმური ინსტიტუტების, ასეთი ინსტიტუტების ნებისმიერი ნაწილის მიერ ან მათთან დაკავშირებული კომერციული საქმიანობით.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებით განათლების ეროვნული სისტემები ახდენენ ხარისხის დემონსტრირებას და ზრდიან გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობით. ეს ხელს უწყობს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და დიპლომების, კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების აღიარების პროცესის და აღიარების სხვა ფორმების გაუმჯობესებას ეროვნულ საზღვრებში და მის ფარგლებს გარეთ.

რადგან ადამიანები მიგრირებენ სხვადასხვა ქვეყნებში, აუცილებელია, რომ ყველა ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეს ერთნაირად ესმოდეს განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, რაც საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული და ინსტიტუციური სისტემების განვითარების და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისთვის, კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების ლეგიტიმური აღიარების მიზნით.

საერთო გაგება არ ნიშნავს, რომ ყველა პოლიტიკა, რეგულაცია და კანონი იდენტური უნდა იყოს. აღიარებულია, რომ ამ რეკომენდაციის პრინციპები სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება გამოყენებული იქნეს და განხორციელდეს სხვადასხვა გზით, ეროვნული კონტექსტის შესაბამისად. თუმცა, საერთო სტანდარტების მიღება ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის კულტურის საერთო გაგების დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა. ეს სტანდარტები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას მონიტორინგისა და ანგარიშგების მეშვეობით. სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს შორის უნდა არსებობდეს მკაფიო განსხვავება და მათი შეუსრულებლობის შედეგები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. სტანდარტები დაცული უნდა იყოს, ხოლო სახელმძღვანელო მითითებები, როგორც ამას ადასტურებს საუკეთესო პრაქტიკა, უნდა შესრულდეს.

დამატებით შეიძლება აღინიშნოს „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები“ და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) „მითითებები უმაღლესი განათლების სფეროში თაღლითურ გარიგებებთან დაკავშირებით“.

**4. ტრენინგი**

წევრმა სახელმწიფოებმა და მათმა საგანმანათლებლო სააგენტოებმა და ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ განათლების პროფესიონალების შესაძლებლობები, რათა მათ გამოავლინონ და აღკვეთონ აკადემიური თაღლითობა, სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარების გზით. ევროპის საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების სფეროში საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და განათლების პროფესიონალებზე მითითება ეხება არა მხოლოდ განათლების მიმწოდებლებს, არამედ ასევე მენეჯერებს და დამსაქმებლებს, შესაბამის საჯარო ოფიციალური პირებს, პოლიტიკურ ლიდერებს და უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ეროვნულ გარემოში.

ძირითადი დაშვებაა, რომ ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ეფექტიანი რეაგირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საზოგადოების ყველა სეგმენტი სრულად დაიცავს საჯარო და პროფესიული ცხოვრების ფუნდამენტურ ეთიკურ პრინციპებს და არ დაეყრდნობა მხოლოდ „ზევიდან ქვევით“ მარეგულირებელ ზომებს.

არსებობს განსხვავება ეთიკური პრინციპების შემუშავებასა და ეთიკურ ქცევას შორის, რაც განხილულია ევროპის საბჭოს პუბლიკაციაში განათლების სფეროს ყველა აქტორის ეთიკური ქცევის შესახებ.[17] ეთიკური პრინციპები ასევე ჩამოთვლილი და აღწერილია ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის მიერ შემუშავებულ ჩარჩო დოკუმენტში.[18]

განათლების სფეროს პროფესიონალებს შეიძლება ჰქონდეთ კონკრეტული ფუნქციები განათლების სისტემასთან დაკავშირებით, როგორიცაა სკოლების ინსპექტირებაში მონაწილეობა ან უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. განათლების პროფესიონალების სხვა მნიშვნელოვანი როლი შეიძლება იყოს პოლიტიკის ფორმულირება და არჩეული პოლიტიკოსებისთვის განათლებასთან დაკავშირებით რჩევების მიწოდება.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ განათლების სფეროს პროფესიონალები და დასაქმებისა და შრომითი მოწყობის პროცესებში მონაწილე პირები ფლობდნენ ინფორმაციას აკადემიური თაღლითობის შესახებ და მათ გაიარონ ტრენინგი მისი სხვადასხვა ფორმების ამოცნობის და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების

[17] https://rm.coe.int/16806d2b6f.
[18] www.coe.int/en/web/ethics-transparency-integrity-in-education.

მიმწოდებლების მუშაობის სქემების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილება.

მაგალითად, აკადემიური თაღლითობის პროცესების გააზრება შეიძლება მიღწეული იქნეს სამუშაო ადგილზე ამ საკითხის საწყის ტრენინგში ჩართვით ან სამუშაოზე მიღების დროს მასწავლებლების, მკვლევარების, განათლების პროფესიონალების და დასაქმებისა და სამსახურში აყვანის პროცესებში ჩართული პირების შესაბამისი ინფორმირებით, პროფესიული და კვლევის შესაძლებლობების უწყვეტი განვითარებით, შეფასების დროს ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებით.

ნებისმიერი ტრენინგი, რომელსაც დაწესებულებები სთავაზობენ საკუთარ პერსონალს სწავლასთან, სწავლებასთან, შეფასებასთან და ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა მოიცავდეს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს. მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება ეთიკური პრინციპების, ქცევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარებაზე , ვიდრე უბრალოდ აკადემიური თაღლითობის საკითხებზე ფოკუსირება.

ასევე, იმ პირების ტრენინგის პროგრამა, ვინც ამოწმებს დაწესებულებებს და უზრუნველყოფს ხარისხს, უნდა შეიცავდეს აკადემიურ თაღლითობასთან და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლებთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისი ხარისხის კოდექსების ფარგლებში, რათა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ყოვლისმომცველი იყოს და ხელს უწყობდეს ეთიკური ქცევის და აკადემიური კეთილსინდისიერების პროგრესისა და გაუმჯობესების უწყვეტ ციკლს. ეთიკა, გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება არის განათლების ხარისხის მიღწევის მთავარი პირობა და შესაბამისად ამ ფაქტორებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შესახებ საჯარო ანგარიშები ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას აკადემიური თაღლითობისა და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების ფუნქციონირების თავიდან აცილების ეროვნული პოლიტიკის განვითარების და სამართლებრივი ჩარევის შესახებ ეროვნულ გარემოში.

აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ განათლების ხარისხისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მონიტორინგის უფლება როგორც საჯარო, ისე კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტებში.

იქ, სადაც არა არსებობს ინსტიტუციური პოლიტიკა აკადემიურ თაღლითობასთან დაკავშირებით, აკრედიტაციის გაგრძელება დამოკიდებული უნდა იყოს გაუმჯობესებაზე, რათა მიღწეული იქნეს დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

**5. პლაგიატი და მითვისებული დოკუმენტების და შინაარსის გამოყენება**

პლაგიატთან და მითვისებული ნამუშევრის გამოყენებასთან საბრძოლველად საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სათანადო კრიტიკული

აზროვნების, აკადემიური წერის და კვლევის უნარების განვითარებაში, თითოეული წევრი სახელმწიფოს განათლების სისტემაში სწავლების სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების შესახებ ცნობიერების ამღლება  და მათგან დაცვის გაზრდა.

ამ ნაწილში მოსწავლეებსა და სტუდენტებზე მითითება მოიცავს განათლებისა და სწავლების სფეროში ყველა მოსწავლეს და ტერმინი „საგანმანათლებლო დაწესებულებები“ მოიცავს ყველა ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს განათლებას ყველა დონეზე, მათ შორის საბავშვო ბაღს, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების და პროფესიული მომზადების ინსტიტუტებს.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს ესაჭიროებათ მხარდაჭერა, რათა შეიძინონ  სწავლის, აკადემიური წერის, აკადემიური წყაროების გამოყენების და აღიარების, სწორად მითითების, პერიფრაზირებისა და კვლევის საჭირო უნარები, რათა მათ შეძლონ წარმატების მიღწევა აკადემიური თაღლითობის გამოყენების გარეშე.  აუცილებელია ნათლად გააზრება, თუ რა არის პლაგიატი და რა შედეგებს იწვევს.  პლაგიატი არის სხვისი ნამუშევრის ან იდეის განზრახ ან უნებლიეთ მითვისება. განათლების კონტექსტში ეს გულისხმობს,  რომ ნამუშევარში, რომელიც წარდგენილია  აკადემიური კრედიტის მისაღებად ან პროგრესისთვის, სრულად ან ნაწილობრივ მითითებული ან აღიარებული არ არის პირველწყარო ან ავტორი.

ინფორმაცია და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ნებისმიერი სტრატეგიისთვის, რომლის მიზანია ეთიკური ქცევისა და აკადემიური კეთილსინდისერების წახალისება და აკადემიური თაღლითობის შემცირება. საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეთიკურ ქცევას და აკადემიურ კეთილსინდისიერებას შიდა რეგულაციებით. მნიშვნელოვანია,  რომ  აკადემიური და პროფესიული პერსონალი იცნობდეს საერთო მიზნებსა და ამოცანებს, მათი ერთგული იყოს და განიხილოს ისინი მოსწავლეებთან და სტუდენტებთან დისკუსიისას. სასარგებლოა მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ეთიკური ქცევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობაზე, ასევე აკადემიური  თაღლითობის, მათ შორის, პლაგიატის გამოვლენის ალბათობაზე და მის პოტენციური შედეგებზე გასაგები ინფორმაციის მიწოდება ზეპირად და წერილობით. სასწავლო გეგმების ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მოსწავლეებთან და სტუდენტებთან უნდა იმსჯელონ ეთიკური ქცევისა და პროფესიული მოლოდინების შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო გეგმების ფარგლებში უნდა განავითარონ აკადემიური მხარდაჭერის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებელ სწავლას და გააძლიერებს სტუდენტების ნდობას საკუთარი აკადემიური შესაძლებლობების მიმართ, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ აკადემიურ თაღლითობაზე უარის თქმას. საზოგადოების ინტერესი ეთიკური ქცევის მიმართ ხაზგასმული უნდა იქნეს პროფესიული მომზადების დროსაც. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეთიკური ქცევისა და აკადემიური თაღლითობის ცოდნა და გააზრება პროფესიული განვითარების განუყოფელი ნაწილი იყოს და წაახალისონ ეთიკური ქცევა (ადეკვატური მხარდაჭერისა და რესურსების უზრუნველყოფით) მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვით და უფლება-მოვალეობების გაცნობიერების უზრუნველყოფით.

წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ განათლებისა და კვლევის პროფესიონალების დანიშვნისა და დაწინაურების სისტემებისა და პროცედურების საფუძველზე შესაძლებელი იყოს ყალბი კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების  იდენტიფიცირება. ეს ხელს შეუწყობს მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების გაზრდას მათი ვალდებულებების შესახებ. არსებობდა შემთხვევები, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები იძულებული იყვნენ გადამდგარიყვნენ,  რადგან ისინი თანამდებობაზე დაინიშნენ, სრულად ან ნაწილობრივ, მითვისებული აკადემიური ნაშრომის წარდგენის შედეგად მიღებული აკადემიური დიპლომების ან თაღლითური კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების საფუძველზე.

წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ტექნიკური გადაწყვეტების შემუშავებას და მათ დანერგვას განათლებისა და დასაქმების სფეროში აკადემიური თაღლითობის იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილების მიზნით. ეროვნულმა მთავრობებმა უნდა განიხილონ პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიებთან თანამშრომლობის შესალებლობა, რომლებიც მონაწილეობენ ტექსტების შესაბამისობის/მსგავსების შემოწმებაში, ქვეყნის მასშტაბით ლიცენზიაზე მოლაპარაკების მიზნით. განათლების სამინისტროებმა ხელი უნდა შეუწყონ დაწესებულებებს შორის კომუნიკაციას ეროვნულ გარემოში და ქვეყნის საზღვრებს მიღმა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პოზიტიური გამოცდილებისა და იდეების გაზიარება, რომლებიც ეფექტური აღმოჩნდა აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე უნდა განხორციელდეს ტექნიკური გადაწყვეტების,  მათ შორის, მონაცემთა ბაზებისა და გადამოწმების სისტემების შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერა, დიპლომების, კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების ნამდვილობის შესაფასებლად.

ევროპის საბჭომ და იუნესკომ შექმნეს აკადემიური აღიარებისა და მობილობის  ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი კვალიფიკაციების აღიარების პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებისთვის. ცენტრები უზრუნველყოფენ ინფორმაციას საკუთარ და სხვა ქვეყნებში განათლების სისტემების, მათ შორის, უცხოური დიპლომების, ხარისხების და სხვა კვალიფიკაციების აღიარების შესახებ.[19]

**6. აკადემიური თაღლითობის რეკლამა და პოპულარიზაცია**

თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები, როგორც ეს განსაზღვრულია რეკომენდაციის დანართის მე-2 მუხლში, წარმოადგენენ ბიზნესსაწარმოს ფორმას, რომლის საბოლოო მიზანი ფინანსური მოგებაა. მათი ბიზნესის, სარეკლამო და მარკეტინგული სტრატეგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაყიდვების ზრდაში და „მომხმარებლების“ მიზიდვაში. თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები იყენებენ რამდენიმე არხს და ინსტრუმენტს  პოტენციურ კლიენტებამდე მისაღწევად და საკუთარი პროდუქტების გასაყიდად . ამ

[19] www.qaa.ac.uk/docs/qaa/guidance/contracting-to-cheat-in-higher-education-2nd-edition.pdf; https://rm.coe.int/prems-016918-gbr-2512-etined-vol-5-couv-texte-recadre-8482-bat-16x24-w/168078499c; www.enic-naric.net/.

თვალსაზრისით ინტერნეტი და სოციალური მედია სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს. აკადემიური თაღლითობის ფენომენი ახალი არ არის, მაგრამ ინტერნეტი, სოციალური მედია და ახალი ტექნოლოგიები თაღლითური საგანმანათლებლო მომსაახურების მიმწოდებლებს აძლევს საშუალებას, რომ განახორციელონ საკუთარი მომსახურების შეთავაზება პოტენციურად გლობალურ ბაზარზე და სამრეწველო მასშტაბით.

იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია პირდაპირი მოქმედებების განხორციელება მიმწოდებლის დახურვის მიზნით (მაგალითად იმიტომ, რომ ის განთავსებული არ არის შესაბამისი წევრ სახელმწიფოში ან ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მისი საქმიანობა უკანონო არ არის), წევრ სახელმწიფოებს მაინც შეუძლიათ მინიმუმამდე დაიყვანონ აკადემიური თაღლითობა და მიიღონ ზომები ამ ფენომენის წინააღმდეგ მიმწოდებლების სარეკლამო სტრატეგიის ეფექტიანობის შემცირებით. ასეთი ქმედების მაგალითები შეიძლება იყოს: გამჭვირვალობის სახელმძღვანელო მითითებებისა და პოლიტიკის ხელშეწყობა განათლების მიმწოდებლებისთვის, რომლებმაც, მაგალითად, უნდა მიუთითონ თავიანთ ვებგვერდზე და თავად სერტიფიკატზე, აქვს თუ არა მინიჭებულ კვალიფიკაციას იურიდიული ძალა ქვეყანაში; აცნობონ არაკეთილსინდისიერი და გაუმჭვირვალე პრაქტიკის შესახებ კომპეტენტურ ორგანოს ან ქვეყანაში მომხმარებელთა დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს რეაგირება შეცდომაში შემყვან რეკლამაზე; იმ ქვეყნებში, სადაც დაცულია შესაბამისი საგანმანათლებლო ტერმინოლოგია (რეკომენდაციის დანართის მე-9 მუხლი), წევრი სახელმწიფოები იღებენ ზომებს ისეთი მიმწოდებლების წინააღმდეგ, რომლებიც ავრცელებენ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას (მაგალითად, არააკრედიტებული ინსტიტუტები, რომლებიც აცხადებენ, რომ აკრედიტებული არიან, საკუთარ თავს უნივერსიტეტებს უწოდებენ ან მომხმარებელს სთავაზობენ ხარისხებს შესაბამისი ეროვნული საგანმანათლებლო ტერმინოლოგიის გამოყენებით); ესეების ფაბრიკების და თაღლითური გარიგების საფუძველზე მომსახურების რეკლამის აკრძლვა; ისეთი საქმიანობის ხელშეწყობა, რომლის მიზანია სტუდენტებისა და პოტენციური მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება მსგავსი მომსახურების შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ აკადემიური თაღლითობის რეკლამისა და პოპულარიზაციის წინააღმდეგ ზომების მიღება ყოველთვის არ არის თაღლითური მომსახურების მიმწოდებლის შეჩერების პირდაპირი გზა, ეს შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტი ასეთი საქმიანობის შესამცირებლად. ამგვარი სახის ჩარევამ, განსაკუთრებით ახალი მიმწოდებლის საქმიანობის საწყის ეტაპზე, შეიძლება შეაფერხოს მის მიერ ბაზრის წილის მოპოვება, იმოქმედოს როგორც პრევენციულმა ღონისძიებამ და ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ასეთი მიმწოდებლის შეცდომაში შემყვანი ქცევის შესახებ.

## 7. სამართლებრივი ჩარჩოები, კანონები და პრაქტიკა

აკადემიური თაღლითობა იწვევს კორუფციას საზოგადოებაში და თაღლითური მომსახურების მიმწოდებლები მოტყუებით იღებენ თანხას ორგანიზაციებისა და ინდივიდებისგან. ბევრი თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელი მუშაობს ან აცხადებს, რომ მუშაობს

ევროპის საბჭოს წევრი ან დამკვირვებელი სახელმწიფოდან, რაც საფრთხეს უქმნის მერიტოკრატიულ ღირებულებებს, საზოგადოებას და განათლების ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ამ კონტექსტში, ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს ცნობიერების ამაღლების ერთობლივი ღონისძიებები, ეროვნული კანონმდებლობის გადასინჯვისა და აღსრულების გზით.

რეკომენდაციის დანართის მე-7 მუხლი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მათ მიიღონ სამართლებრივი ზომები თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების წინააღმდეგ. წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში უკანონოდ უნდა გამოაცხადონ თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების დაფუძნება, ლიცენზირება და ოპერირება და შეძლებისდაგვარად უნდა განახორციელონ ასეთი სუბიექტების სამართლებრივი დევნმა. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდონ ან აკრძალონ განათლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტების გამოყენება დასაქმებისა და დაწინაურების მიზნით. ეს შეიძლება განხორციელდეს განათლების, სამომხმარებლო და იმიგრაციის შესახებ არსებული კანონების აღსრულებით და/ან ახალი კანონების მიღებით. რეკომენდაციის არცერთი დებულება არ მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან, რომ მიიღონ არ არ მიიღონ ახალი კანონმდებლობა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოძებნონ სწორი ბალანსი სამართლებრივ და სხვა ზომებს შორის, მათი ეროვნული კონტექსტის შესაბამისად.

ევროპის საბჭო აღიარებს, რომ არსებობს რამდენიმე ინსტრუმენტი აკადემიურ თაღლითობასთან საბრძოლველად, მათ შორის, საზოგადოების ინფორმირება იმ ზიანის შესახებ, რომელსაც იწვევს განათლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტების გამოყენება. ეს მუხლი ურჩევს წევრ სახელმწიფოებს, რომ მოახდინონ მათი ეროვნული კონტექსტის შესაბამისი ინსტრუმენტების იდენტიფიცირება და გამოყენება.

კანონმდებლობა არის დამატებითი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული.[20] ეს მოიცავს წევრი სახელმწიფოების იურისდიქციების ფარგლებში თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების შექმნის, ლიცენზირებისა და საქმიანობის აკრძალვას და შესაძლებლობის შემთხვევაში მათ სამართლებრივ დევნას. ეს შეიძლება გაკეთდეს განათლების, მომხმარებლებისა და იმიგრაციის შესახებ არსებული კანონების აღსრულებით და/ან ახალი კანონების მიღებით.

## 8. ეთიკის კოდექსები

[20] ბერგანი ს. და ჰანტი ე.ს. (2009), „აღიარების მიმართ დამოკიდებულების განვითარება: არსებითი განსხვავებები გლობალიზაციის ეპოქაში“, ევროპის საბჭო, გვ. 119, https://book.coe.int/en/higher-education-and-research/4416--developing-attitudes-to-recognition-substantial-differences-in-an-age-of-globalisation-council-of-europe-higher-education-seriesno13.html; უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო და იუნესკო (2009), „ეფექტიანი პრაქტიკა: უმაღლესი განათლების სფეროში დიპლომების ფაბრიკების შეზღუდვა“, გვ. 5 www.chea.org/chea-unesco-statement-to-discourage-degree-mills-higher-education.

ეს მუხლი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ ასევე შეისწავლონ არასაკანონმდებლო ღონისძიებები აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიცაა ეთიკური კოდექსების მიღება.[21]

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ ეთიკური კოდექსები საჯარო მოხელეებისთვის, რომელთა მიზანი იქნება აკადემიური თაღლითობის  თავიდან აცილება.[22]  ეს კოდექსები უნდა შეიცავდეს სახელმძღვანელო მითითებებს, თუ რომელი დისციპლინური ზომები უნდა განხორციელდეს იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებსაც აქვთ განათლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები.

წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა წაახალისონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რათა მათ დანერგონ ნათლად გასაგები სახელმძღვანელო მითითებები, პროცედურები, ეთიკის კოდექსები და ქცევის კოდექსები  (მათ შორის, მაგალითად, აკადემიური კეთილსინდისიერების პირობის დადება) აკადემიური თაღლითობის აღმოსაფხვრელად.[23]

უმაღლეს სასწავლებლებს რამდენიმე ფუნქცია აქვთ, რაც მათ აკადემიური თაღლითობის მიმართ მოწყვლადს ხდის. ამ ფონზე ისინი ფრთხილად უნდა იყვნენ ისეთი გადაწყვეტილებისას, თუ ვის იღებენ, ვის ასაქმებენ,  ვისთან თანამშრომლობენ  და რას აღიარებენ კრედიტებად. [24] კეთილსინდისიერი ინსტიტუტები რისკავენ, რომ პოტენციური ზიანი მიაყენონ საკუთარ სანდოობას, რეპუტაციას და ბრენდს. ნებისმიერი ლეგიტიმური ინსტიტუტი, რომელიც თანამშრომლობს დიპლომების ან აკრედიტაციის ფაბრიკასთან, ანიჭებს ასეთ თაღლითურ სააგენტოს ლეგიტიმაციას, რასაც ის მარკეტინგის მიზნით გამოიყენებს. ეთიკის კოდექსი, თაღლითობის საწინააღმდეგო სახელმძღვანელო მითითებები და პროცედურები, დისციპლინური ზომები დამსაქმებელთა მიმართ, რომლებიც ყალბ ხარისხებს ფლობენ და ა.შ. ხელს უწყობს ინსტიტუტების თაღლითებისგან დაცვას, რომლებიც ცდილობენ მათი კარგი სახელის გამოყენებას.

რისკის წინაშე დგას უნივერსიტეტების შემდეგი ფუნქციები:

- დაშვებისა და მიღების პროცესი – მიმღები ოფისი;
- ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები – საერთაშორისო ოფისი;
- პერსონალის დაქირავება – ადამიანური რესურსების სამსახური;
- მეორადი დასაქმება/დასაქმება – ადამიანური რესურსების სამსახური.

---

[21] საერთაშორისო გამჭვირვალობა (2013), გლობალური კორუფციის შესახებ ანგარიში: განათლება, გვ. 15-16.
[22] ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს „ერასმუს+“-ის გაცვლითმა პროგრამამ; იხილეთ ასევე: საერთაშორისო გამჭვირვალობა (2013), გლობალური კორუფციის შესახებ ანგარიში: განათლება, გვ. xxi.
[23] იხილეთ წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2019)9 რეკომენდაცია მასწავლებლის პროფესიაში ეთიკის კულტურის ხელშეწყობის შესახებ და წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(2000)10 საჯარო მოხელეთა ქცევის კოდექსების შესახებ.
[24] იხილეთ  ევროპული აღიარების სახელმძღვანელო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (მე-3 გამოცემა, 2020), გვ.34,  www.nuffic.nl/en/publications/the-european-recognition-manual-for-higher-education-institutions.

პოლიტიკის დოკუმენტების ფორმულირება შეიძლება განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინდივიდუალურად ან თანამშრომლობით. ასეთი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს ნათლად გასაგებ სახელმძღვანელო მითითებებს განათლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტების მფლობელ პირებთან მოპყრობის შესახებ – რა თქმა უნდა, მათი კანონიერი უფლებების გათვალისწინებით. აუცილებელია, რომ შესაბამისი უმაღლესი სასწავლებელი იღებდეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც წარადგენენ ლეგიტიმური ინსტიტუტების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

თუმცა ეს პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ დიპლომების და აკრედიტაციის ფაბრიკების არსებობით. ფაქტობრივად, აუცილებელია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ყურადღება მიაქციონ პრობლემას, რომელიც ამჟამად ეხება სხვა ტიპის „ფაბრიკებს“ (მაგალითად, შეფასების ფაბრიკები), ყალბ მონაცემთა ბაზებს, „აღიარებული“ ინსტიტუტების სიების გავრცელებას და თუნდაც ლეგიტიმურად აკრედიტებული ორგანიზაციების საეჭვო საქმიანობაში მონაწილეობას.

გარდა ამისა, პოლიტიკა უნდა შეიცავდეს სახელმძღვანელო მითითებებს განათლების დამდასტურებელი ყალბი დოკუმენტების მქონე თანამშრომლებთან მოპყრობის შესახებ, რომლებიც უკვე მუშაობენ ორგანიზაციაში. ევროპის საბჭოს შეუძლია მხარი დაუჭიროს წევრ სახელმწიფოებს და უმაღლეს საგნამანათლებლო დაწესებულებებს ამ მიმართულებით.

**9. საგანმანათლებლო ტერმინოლოგია**

ეს მუხლი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მიიღონ კანონები, რომლებიც კონკრეტულად დაიცავს ძირითად საგანმანათლებლო ტერმინოლოგიას (მათ შორის, შეძლებისდაგვარად, შემოკლებულ ფორმებს), როგორიცაა „უნივერსიტეტი“, „კოლეჯი“, „აკრედიტაცია“, „ბაკალავრის ხარისხი“ და „დოქტორი“ ეროვნულ ენაზე/ენებზე და ასევე სხვა ენებზე.[25]

გარდა ამისა, ევროპის საბჭომ და სხვა ევროპულმა რეგიონულმა და ტრანსსასაზღვრო ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ და ხელი შეუწყონ სახელმწიფო დონეზე კანონების მიღების ინიციატივებს, რომლებიც დაიცავს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ტერმინოლოგიას.[26]

---

[25] ევროპის საბჭოს შემდეგმა წევრმა ქვეყნებმა შემოიღეს კანონები, რომლებიც იცავს სიტყვას „უნივერსიტეტი“: ანდორა, ავსტრია, ბელგია (ფლამანდიის რეგიონი და გერმანულენოვანი ბელგიის თემი), ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. იხილეთ ასევე რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია: „სახელმძღვანელო დიპლომების ფაბრიკების და სხვა საეჭვო ინსტიტუტების შესახებ“, FRAUDOC პროექტი, CIMEA – NARIC იტალია (2018), გვ. 48, www.cimea.it/Upload/Documenti/Guidelines-on-Diploma-Mills.pdf.

[26] მაგალითად, ევროკავშირს შეუძლია გააფართოვოს პროფესიების რაოდენობა, რომლებიც მოცემულია მომსახურების შესახებ გაფრთხილების დირექტივაში, შიდა ბაზრის საინფორმაციო სისტემაში.

და ბოლოს, სახელმწიფოებმა როგორც ეროვნულ, ისე სხვა ენაზე/ენებზე უნდა გამოაქვეყნონ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლებული სიები და მათი უმაღლესი განათლების სექტორის სასწავლო პროგრამები.[27]

## 10. საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და მომავალი თაობების განათლება

იმის მიუხედავად, რომ თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობა მთელ განათლების სექტორზე ვრცელდება, კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიკაციებს და განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს იმ აკადემიურ და/ან პროფესიულ სფეროებში, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენენ ადამიანების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. წევრ ქვეყნებში, მთელი რიგი პროფესიები რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით სწორედ იმიტომ, რომ ისინი ეხება მოქალაქეების ძირითად უფლებებს, როგორიცაა ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების უფლება და ამგვარად წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს. რეგულირებადი პროფესიების მაგალითები მოიცავს ჯანდაცვის სექტორს (ექიმი, სტომატოლოგი, ბებიაქალი, მედდა, ქირურგი, ფიზიოთერაპევტი, ფსიქოლოგი), სამართალს, მართლმსაჯულებასა და ბუღალტერიას (ადვოკატი, ავტორიზებული ბუღალტერი), განათლებას და ბავშვზე ზრუნვას (მასწავლებლები და სხვა პერსონალი), მშენებლობას და ტექნიკურ პროფესიებს (ინჟინერი, არქიტექტორი), ტრანსპორტს (საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ინჟინერი, გემების გემბანის ოფიცერი) და კონტროლს და მოწყობილობების მონტაჟს (ელექტროსისტემების ინსტალატორი, ხანძარსაწინააღმდეგო ექსპერტი).

ჩვეულებრივ, წევრ სახელმწიფოებს რეგულირებადი პროფესიებისთვის ეროვნულ დონეზე შემუშავებული აქვთ მარეგულირებელი ჩარჩო იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროფესიონალები აკმაყოფილებდნენ საკუთარი პროფესიისთვის საჭირო სტანდარტებს. მარეგულირებელი ჩარჩოები შეიძლება ხშირად შეიცავდეს როგორც მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ისე მომავალში კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად პროფესიული პრაქტიკული ტრენინგის გავლის მოთხოვნას (მაგალითად, სტაჟირება და/ან სახელმწიფო გამოცდა პროფესიული ლიცენზიის მისაღებად), პროფესიული და მარეგულირებელი ორგანოების არსებობას და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ნორმებს. ბევრ წევრ სახელმწიფოში პირები, რომლებიც მუშაობენ რეგულირებულ პროფესიულ სფეროში შესაბამისი ლიცენზიის ან დადგენილი მოთხოვნების შესრულების გარეშე, შესაბამის ქვეყანაში დამნაშავეებად ითვლებიან. თუ პროფესიული კვალიფიკაცია შეძენილია არასათანადოდ, აუცილებელი სასწავლო პროგრამების გავლის და რეალური ცოდნისა და ტექნიკური და პროფესიული უნარების შეძენის გარეშე, ასეთი კვალიფიკაციის მფლობელი პირი წარმოადგენს საფრთხეს მათთვის, ვისთვისაც საჭიროა მისი მომსახურებას. ინჟინერი, არქიტექტორი ან მედიკოსი ექიმი, რომელსაც წოდება თაღლითური გზით აქვს მიღებული და შესაბამის პროფესიაში საქმიანობს, საფრთხეს უქმნის იმ ადამიანების სიცოცხლეს, რომლებისთვის ის ყოველდღიურად მუშაობს. ანალოგიურად, მასწავლებელი საჭირო კომპეტენციების გარეშე სერიოზულ საფრთხეს უქმნის სტუდენტების კეთილდღეობას და მათი განათლების ხარისხს. ამის

[27] იხილეთ აღიარების სტანდარტები: აღიარების შესახებ ლისაბონის კონვენცია და მისი დამხმარე ტექსტები (2006), ევროპის საბჭოს უმაღლესი განათლების სერია No 3, გვ. 66-67.

მსგავსად, პროფესიები, რომლებიც ეხება გარემოს სხვადასხვა დონეზე (წყლის მართვა, სოფლის მეურნეობა, განახლებადი ენერგია და ა.შ.) აშკარა გავლენას ახდენს ეკოლოგიურ ბალანსზე და საბოლოოდ ადამიანებისა და პლანეტის კეთილდღეობაზე.

მარეგულირებელი და პროფესიული ორგანოები, არსებობის შემთხვევაში, ასრულებენ პროფესიულ პრაქტიკაზე ზედამხედველობის ფუნქციას. ისინი ჩვეულებრივ ადგენენ შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნებს, აფასებენ განმცხადებლების კვალიფიკაციებს და სერტიფიკატებს, აწარმოებენ წევრების რეესტრებს და მათ ასევე შეუძლიათ არეგულირონ ქცევის კოდექსი და დაუწესონ სანქციები იმ წევრებს, რომლებიც წესებს არღვევენ. მათ აქვთ უნარი, რომ სტრატეგიული როლი შეასრულონ თაღლითობის თავიდან აცილებაში. წევრების სიის წარმოების საფუძველზე მათ შეუძლიათ მოქალაქეებს მიაწოდონ ინფორმაცია, არის თუ არა პირი ნამდვილი პროფესიონალი, რითაც მისცემენ საჭირო გარანტიას მომხმარებლებსა და კლიენტებს. აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ დონეზე კოორდინირებული სტრატეგიის განსაზღვრას ეროვნული კომპეტენტური ორგანოების, პროფესიული ორგანოების, განათლების სფეროს დაინტერესებული მხარეების და ყველა იმ მხარის მონაწილეობით, რომელსაც სხვადასხვა დონეზე შეხება აქვს აკადემიურ და/ან პროფესიულ კვალიფიკაციებთან.

## 11. მამხილებლები

წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის მამხილებელთა დაცვის შესახებ CM/Rec(2014)7 რეკომენდაციის[28] კონტექსტში „მამხილებელი“ ნიშნავს „ნებისმიერ პირს, რომელიც ამხელს ან აწვდის ინფორმაციას საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ საფრთხის ან ზიანის შესახებ, სამუშაოზე დაფუძნებული ურთიერთობის კონტექსტში, საჯარო ან კერძო სექტორში“. იმავე რეკომენდაციის მიხედვით „პირები, რომლებიც ამჟღავნებენ ან ავრცელებენ ინფორმაციას საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის შექმნის ან ზიანის მიყენების შესახებ… ხელს უწყობენ გამჭვირვალობის და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გაძლიერებას“. რეკომენდაცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ ჰქონდეთ ნორმატიული, ინსტიტუციური და სასამართლო ჩარჩო ადამიანების, მათ შორის, ბრალდებულთა დასაცავად.

აკადემიური თაღლითობის შესახებ ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის წევრების გამოკითხვის (პლატფორმის 2019 წლის მე-3 პლენარულ სხდომაზე) მიხედვით რესპონდენტების 60%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ არ არსებობდა კონკრეტული კანონმდებლობა იმ პირების დასაცავად, რომლებიც ამჟღავნებენ ინფორმაციას აკადემიური თაღლითობის შესახებ. ამ სფეროში არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე შემუშავდეს სათანადო კანონმდებლობა და პროცედურები, რომლებიც დაარეგულირებს საკითხების დაყენების პროცესს და მამხილებელებთან

[28] რეკომენდაცია CM/Rec(2014)7 მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 30 აპრილს.

და აკადემიურ თაღლითობაში ბრალდებულ პირებთან და ორგანიზაციებთან დაკავშირებულ პროცედურებს.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ განათლების მიმწოდებლების მიერ მამხილებელთა დაცვის პროცედურების მიღებას და შესაბამისი პრაქტიკის დამკვიდრებას ინსტიტუციურ დონეზე, განათლების სფეროში ანგარიშგების და ინფორმაციის გამჟღავნების არხების განსაზღვრის მხარდაჭერით და დაინტერესებული მხარეების (მაგალითად, ომბუდსმენის ინსტიტუტები) ჩართვით. ამავე პრინციპით, მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ ისეთი პროცედურებისა და პრაქტიკის განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან და მიუკერძოებელ პროცესს აკადემიურ თაღლითობაში ბრალდებული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ.

რაც შეეხება თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლებს, აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ ისინი ძალიან აგრესიული არიან მათ მიმართ, ვინც ცდილობს შეაჩეროს ან მინიმუმამდე შეამციროს მათი საქმიანობა. როგორც წესი, ისინი ცდილობენ დააშინონ და მოატყუონ როგორც კლიენტები, ისე პროფესიონალები, მათ შორის, იურისტების გამოყენებით. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განათლების პროფესიონალები კარგად იცნობდნენ ამ ფენომენს და გავლილი ჰქონდეთ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ ასეთ მიმწოდებლებთან. მაგალითად, მათთან კომუნიკაციისას განათლების პროფესიონალებმა უნდა იცოდნენ, რა შეიძლება თქვან და როგორ ჩამოაყალიბონ აზრი, განსაკუთრებით წერილობითი ფორმით, რათა თავიდან აიცილონ სამართლებრივი დავის საფუძველი და დაიცვან საკუთარი თავი და ორგანიზაცია, როდესაც ეს შესაძლებელია. მიზანშეწონილია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა, განათლების სფეროში ეთიკის, კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ყოვლისმომცველი სტრატეგიის განხორციელებისას გაითვალისწინონ ტრენინგი ამ სფეროში. ტრენინგი გაზრდის ცნობიერებას ამ საკითხებზე და საშუალებას მისცემს ოფიციალურ პირებს, რომ სწრაფად გამოავლინონ თაღლითური ოპერაციები. ტრენინგის პროგრამა ასევევ უნდა ეხებოდეს სახელმძღვანელო მითითებებს თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობასთან საბრძოლველად და მის შესამცირებლად. ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ამ პროცესის ხელშეწყობა პროფესიონალებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და სათანადო ინსტრუმენტების უზრუნველყოფით, მაგალითად, დიპლომების ფაბრიკებთან ან ვებგვერდებთან გასამკლავებლად, რომლებიც ყიდიან ისეთ ყალბ კვალიფიკაციებს, რომლებიც აკრედიტებული ინსტიტუტის მიერ გაცემულ დოკუმენტებს ჰგავს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედების სტანდარტული პროცედურის არსებობას ისე, რომ არცერთი პირი არ დარჩეს თანადგომის გარეშე თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლებთან ურთიერთობისას და თაღლითურ მომსახურებაზე რეაგირებისას ხელმისაწვდომი იყოს ინსტიტუციური მხარდაჭერა.

## 12. ციფრული გადაწყვეტების გამოყენება

თანამედროვე ტექნოლოგიები, მათი უწყვეტი განვითარება და ინოვაცია შეიძლება აკადემიური თაღლითობის პრობლემის ნაწილად ჩაითვალოს. ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება, მცირე საფასურის ნაცვლად ან უსასყიდლოდ, იძლევა დოკუმენტების მარტივად გაყალბების და

დახვეწილი ყალბი კვალიფიკაციების შექმნის შესაძლებლობას, რომლებიც ძალიან ჰგავს ავთენტურ დოკუმენტებს. თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლებს და „ფაბრიკებს“, რომლებიც ფუნქციონირებენ გლობალურ ბაზარზე, ნებისმიერ კლიენტამდე მხოლოდ ერთი „დაწკაპუნება“ აშორებთ; ინტერნეტით შეფასებები ასევე შეიძლება ექვემდებარებოდეს მოტყუებას და გაყალბებას.

ტექნოლოგიების გამოყენების ფართოდ გავრცელება იძლევა დოკუმენტის მარტივად გაყალბების შესაძლებლობას. ამავე დროს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი ინსტრუმენტები შეიძლება გახდეს აკადემიურ თაღლითობასთან გამკლავების და მისი თავიდან აცილების ძლიერი იარაღი, მაგალითად, სტუდენტების შესახებ მონაცემების ციფრულად გაცვლის და კვალიფიკაციების ავთენტურობის შემოწმების პლატფორმებისა და ინსტრუმენტების უზრუნველყოფით. ციფრული გადაწყვეტის მაგალითი შეიძლება იყოს სტუდენტების მონაცემების, ციფრული ხელმოწერებისა და დაშიფრული „pdf“ ფაილების უსაფრთხო გაცვლის მიზნით „ბლოკჩეინის“ ტექნოლოგიის გამოყენება, რაც იქნება დოკუმენტების ავთენტურობის შემოწმების და გამოცდების დროს შტრიხკოდების გამოყენების და კორუფციის თავიდან აცილების საშუალება. ზოგადად, გაციფრულებამ შეიძლება ხელი შეუწყოს თაღლითობის თავიდან აცილებას მთელ საგანმანათლებლო პროცესში, განათლების ხელმისაწვდომობიდან დაწყებული, საბოლოო კვალიფიკაციის მიღებით და მისი შემდგომი გამოყენებით დასრულებული.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ:

- სტუდენტების შესახებ მონაცემების გაცვლის უსაფრთხო ინსტრუმენტების შექმნა და მხარდაჭერა როგორც ეროვნულ, ისე საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე. ასეთი გადაწყვეტა უზრუნველყოფს ამ მონაცემების უსაფრთხოების, სწრაფი გადაცემის, თანმიმდევრულობისა და სანდოობის გაუმჯობესებას. შესაძლებლობის ფარგლებში, ასეთი გადაწყვეტები ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტზე და მისცეს მას საკუთარი კვალიფიკაციის და შესაბამისი დოკუმენტების (როგორიცაა აკადემიური ჩანაწერები) ადვილად გაზიარების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, ეს უზრუნველყოფს მონაცემთა კეთილსინდისიერებას და ნამდვილობას. ეს გადაწყვეტები მიმართული უნდა იყოს სტუდენტების და კურსდამთავრებულების მობილობის ხელშეწყობაზე და მათი კვალიფიკაციების პორტაბელურობაზე;
- პროფესიული სერტიფიკატებისა და კვალიფიკაციების უსაფრთხოდ გაცემის და გაცვლის ინსტრუმენტების შექმნა და მათი განვითარების მხარდაჭერა. რეკომენდაციის დანართის მე-10 მუხლის მიხედვით, ასეთი გადაწყვეტები ხელს შეუწყობს ნდობას და მინიმუმამდე შეამცირებს თაღლითობას პროფესიულ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგულირებული პროფესიებისთვის, რადგან ისინი მოქალაქეების ძირითად უფლებებს ეხება;
- ტექნოლოგიური გადაწყვეტების შემუშავების და დამკვიდრების მიზნით მოქნილი, მასშტაბირებადი და მომავალი ინოვაციებისთვის ღია ციფრული განათლების ეკოსისტემების მხარდაჭერა; პოლიტიკის შემუშავება და სათანადო პრაქტიკის დამკვიდრება

განათლების სფეროში გამოყენებული ტექნოლოგიური გადაწყვეტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის (სად ინახება მონაცემები, ვინ აკონტროლებს მათ, ა.შ.);

- ინფორმაციისა და კარგი პრაქტიკის გაცვლა და ტექნოლოგიური გადაწყვეტების, სტანდარტების და ციფრული ინსტრუმენტების თავსებადობის განხილვა. შესაძლებლობის შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ღია და საერთო სტანდარტებს;
- ახალი კანონების მიღება და/ან არსებული კანონმდებლობის ადაპტირება, მხოლოდ ქაღალდის დოკუმენტების გამოყენების ნაცვლად სტუდენტების შესახებ ციფრული მონაცემების გამოყენების მხარდასაჭერად, რაც ხელს შეუწყობს მათ აღიარებას;
- ციფრული შემოწმების ინსტრუმენტებისა და პლატფორმების შექმნა და მათი შექმნის მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს დიპლომების ნამდვილობის შემოწმების მარტივ, ხელმისაწვდომ, მრავალენოვან და სანდო მომსახურებას;
- პოლიტიკის შემუშავება და სათანადო პრაქტიკის დამკვიდრება დიგიტალიზაციის პროცესში კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
- ციფრული ეთიკის კულტურის მხარდაჭერა განათლების სფეროს დაინტერესებულ მხარეებს შორის, განათლების სექტორში დიგიტალიზაციის ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის ინსტრუმენტად გამოყენების მიზნით;
- დიგიტალიზაციის, როგორც განათლების სფეროს პროფესიონალების ძირითადი ტრანსვერსიული უნარის განხილვა და ციფრული წიგნიერების სფეროში ტრენინგების ხელშეწყობა;
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა და ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში კვლევების მხარდაჭერა, აკადემიური თაღლითობის ყველა ფორმის და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის აღმოფხვრის მიზნით. მაგალითები შეიძლება მერყეობდეს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებიდან ხელოვნური ინტელექტის სფეროში კვლევებამდე.

ეთიკა ტექნოლოგია არ არის: ტექნოლოგია შეიძლება იყოს ძლიერი იარაღი აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ, მაგრამ ის უნდა ემსახურებოდეს პოლიტიკის, კანონმდებლობის და პრაქტიკის ყოვლისმომცველ და სისტემურ სტრატეგიას, განათლების სფეროში ეთიკის, კეთილსინდისიერებისისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით.

## 13. კვლევა

კვლევა არის აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების და მასთან ბრძოლის, ამ პროცესის ევოლუციის და საბოლოოდ მისი მხარდაჭერის გააზრების და მონიტორინგის გზა. რაოდენობრივი და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება (რეკომენდაციის დანართის მე-15 მუხლი) და მათ საფუძველზე ამ ფენომენის კვლევა და ანალიზი, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე, წარმოადგენს პირველ ნაბიჯს აკადემიური თაღლითობის ყველა ფორმის, მათი მუდმივი ევოლუციის გააზრებისა და ცოდნისკენ. ამ კონტექსტში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მკვლევარების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კველვითი ცენტრებისა და

ინსტიტუტების ფორმალური ან არაფორმალური ქსელის შექმნის მხარდაჭერა, რათა შესწავლილი იქნეს სხვადასხვა დონეზე აკადემიური თაღლითობა.

ამასთან, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ კვლევის მიმართ მულტიდისციპლინური მიდგომა, ეთიკის კულტურის განმტკიცებისა და აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილების მიზნით. ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს სხვადასხვა კუთხით (სამართლებრივი, სოციოლოგიური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და ა.შ.). საკვლევი თემების არასრული ჩამონათვალი, რომელიც აკადემიური თაღლითობის შემცირების მიზნით განხორციელებული შემდგომი ანალიზის და კვლევის შედეგად შეიძლება შეივსოს, შემდეგია: აკადემიური თაღლითობის სხვადასხვა ფორმის შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და მისი ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი; განათლების სფეროში ეთიკის კოდექსების ძირითადი პრინციპების შედარებითი ანალიზი და მათი მიღება და პრაქტიკა; ფენომენის ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები, მაგალითად, შემოსავლების დაკარგვა ხარისხიანი განათლების ლეგიტიმური მიმწოდებლების და სხვა ზოგადი საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების მიერ, რადგან გადანაწილებული თანხები არ ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადს; როლი, რომელიც შეუძლია შეასრულოს დიგიტალიზაციამ აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლაში; ციფრული ეთიკა განათლების სფეროში; სოციალური მეცნიერებების კონტექსტში, თაღლითურ საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნის ანალიზი ასეთი მომსახურების სხვადასხვა კატეგორიის კლიენტების (ვინ არიან ისინი და რატომ იყენებენ ასეთ მომსახურებას) იდენტიფიცირების გზით, რათა გაირკვეს, არსებობს თუ არა (და თუ ასეა, რატომ) ტენდენცია, რომ ჭეშმარიტი ცოდნის მიღების ნაცვლად პრიორიტეტი ისეთი ფორმალური ატრიბუტიკის მოპოვებას ენიჭებოდეს, როგორიცაა სერტიფიკატები; ღირსების კოდექსების როლი თაღლითობის შემცირებაში; ასევე ციფრულ სწავლებასა და სწავლაზე ორიენტირება.

გარდა ამისა, ასევე უნდა ჩატარდეს კვლევა სხვადასხვა რეგიონის შედარების მიზნით, რათა გაირკვეს, რა როლს თამაშობენ განსხვავებული აკადემიური კულტურები განათლების სფეროს ეთიკის ხელშეწყობაში, გამოვლინდეს ახალი ტენდენციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განხორციელდეს კარგი პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების გაცვლა.

**14. საერთაშორისო თანამშრომლობა**

რადგან აკადემიური თაღლითობა არ ჩერდება ეროვნულ საზღვრებში და ის წევრი სახელმწიფოებისთვის წარმოადგენს საფრთხეს მრავალი თვალსაზრისით, როგორც ეს აღწერილია რეკომენდაციის პრეამბულაში, დემოკრატიის, კანონიერებისა და ხარისხიანი განათლების დაცვისთვის საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნების ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს. ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის კონტექსტში, განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების კულტურის შექმნა ყველა მონაწილის საერთო პასუხისმგებლობაა - პასუხისმგებლობა, რომელიც ასევე არ შემოიფარგლება ეროვნული საზღვრებით. ამ მიზეზების გამო, საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს აკადემიურ თაღლითობაზე დაკვირვების, მისი გააზრების და მასთან ბრძოლის

ძირითად ფაქტორს. არსებობის შემთხვევაში, პოლიტიკა და პრაქტიკა ძირითადად ინსტიტუციურ და ეროვნულ დონეზეა და არსებობს ფართო სივრცე საერთაშორისო კოორდინაციისა და მოქმედების გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო თანამშრომლობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია აკადემიური თაღლითობის ფენომენის და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის მუდმივი და თანმიმდევრული მონიტორინგის უზრუნველყოფა. მეორე ნაბიჯია ინფორმაციის გაცვლის ფორუმი, მაგალითად, როგორიც არის ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმა, რათა ინფორმაციის გაცვლა განხორციელდეს ისეთი ჩარჩოს ფარგლებში, სადაც არსებობს ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მკაფიო და საერთო ვალდებულება. მონიტორინგი და ინფორმაციის გაცვლა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია ფენომენის სრული სურათის შექმნისთვის. თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლები სლ უფრო მეტად მოქმედებენ საერთაშორისო ბაზარზე და განათლების ინტერნაციონალიზაციას ფინანსური მოგების მაქსიმალურად გაზრდის და ბიზნესის გაფართოებისთვის იყენებენ. ამისათვის, მაგალითად, თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელი შეიძლება განთავსებული იყოს ერთ ქვეყანაში და სთავაზობდეს მომსახურებას ბევრ სხვა ქვეყანაში, რათა თავიდან აიცილოს მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა; მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ „საერთაშორისო“ პროვაიდერები არიან, რომლებსაც აქვთ ოფისები სხვადასხვა ქვეყანაში, ისევ და ისევ ლეგიტიმაციის და სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილების მიზნით; მათ შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა საკუთარი თავის დასაცავად და წავიდნენ იქ, სადაც კანონის მოთხოვნები უფრო ტოლერანტულად მიიჩნევა. საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლა ცენტრალურ როლს ასრულებს არსებული სურათის ფორმირებასა და ამგვარი აქტივობების გააზრებაში, ამ სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე.

მესამე ნაბიჯი არის თანამშრომლობა. წევრი სახელმწიფოების გამოცდილება აჩვენებს, რომ თანამშრომლობის მექანიზმის არსებობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლაში: ერთი მაგალითია ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ქსელის (ENIC) ცენტრებს შორის თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში, განსაკუთრებით ყალბი კვალიფიკაციებისა და დიპლომების ფაბრიკების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. თანამშრომლობა, რომელიც რეკომენდაციის საფუძველზე წევრი სახელმწიფოების დონეზე ხორციელდება, შეიძლება გაძლიერდეს ამ სფეროში მომუშავე სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობით. გარდა ამისა, ასეთი თანამშრომლობა საჭიროა სერტიფიკატების გამოყენებისა და აღიარების უზრუნველყოფისთვის, რისი მაგალითიც არის ევროპული საკვალიფიკაციო პასპორტი ლტოლვილებისთვის, რომელიც გაიცემა ჭეშმარიტად საერთაშორისო კონტექსტში.

განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კარგად ფუნქციონირებადი მექანიზმები ასევე აქტუალურია კრიზისის პერიოდებში (მაგალითად, კოვიდ-19-ის პანდემია): კრიზისები შეიძლება გამოყენებული იქნეს თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების

მიერ ბაზარზე საკუთარი თავის უკეთ პოზიციონირებისთვის ან შესაძლოა გახდეს მათი ბიზნესის გამაძლიერებელი ფაქტორი. საერთაშორისო თანამშრომლობამ და ინფორმაციის გაცვლამ შეიძლება ხელი შეუწყოს ასეთი საეჭვო საქმიანობის სწრაფად გამოვლენას, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყოს ერთ ქვეყანაში, მაგრამ უკვე კარგად იყოს იდენტიფიცირებული სხვა ქვეყანაში.

კიდევ ერთი მიმართულება, სადაც აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა, არის ეგრეთ წოდებული ნაცრისფერი ზონები, რაც ნიშნავს თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის სფეროებს, რაც თავისთავად შეიძლება არ იყოს უკანონო (ან უკანონო იყოს მხოლოდ ერთ წევრ სახელმწიფოში და არა სხვა ქვეყნებში), მაგრამ წარმოადგენდეს საფრთხეს განათლების სფეროში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებისთვის. ამის მაგალითია „უკანა კარიდან აკრედიტაცია“, როდესაც დაწესებულება, რომელიც არ არის აკრედიტებული ერთ ქვეყანაში, ახერხებს აკრედიტაციის მიღებას სხვა სახელმწიფოში და აგრძელებს „კვალიფიკაციის“ შეთავაზებას ორივე ქვეყანაში; ან სიტუაცია, როდესაც განათლების მიმწოდებელი ავტორიზებულია, რომ იმუშაოს ერთ ქვეყანაში და ის სთავაზობს არალეგიტიმურ და განსხვავებულ მომსახურებას სხვა ქვეყნებში. ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული მოქმედება შეიძლება ძალიან ეფექტიანი იყოს მსგავსი ფენომენის პრევენციისა და მინიმუმამდე შემცირებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, არსებობს ლეგიტიმური ინსტიტუტები აკრედიტაციის გარეშე და მეორე მხრივ, აკრედიტაცია არ წარმოადგენს კეთილი ნებით აღებულ ეთიკურ ვალდებულებას. საერთაშორისო თანამშრომლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ხარისხიანი ტრანსნაციონალური განათლების უზრუნველყოფაში, 2007 წლის „ტრანსნაციონალური განათლების უზრუნველყოფის კარგი პრაქტიკის შესწორებული კოდექსის“[29] შესაბამისად.

წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ფენომენის სრული სურათის შესაქმნელად, მიღებული გაკვეთილების გასათვალისწინებლად და აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განსახორციელებლად და, მეორე მხრივ, ეროვნულ დონეზე აკადემიურ თაღლითობასთან გასამკლავებლად, თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების იმ მიმწოდებლების წინააღმდეგ ზომების მიღებით, რომლებიც საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ ერთ ქვეყანაში, მაგრამ განთავსებული არიან სხვაგან.

## 15. მონაცემთა შეგროვება

ინფორმაცია, მონაცემები და სტატისტიკა აუცილებელია აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ეფექტიანი მოქმედებისთვის. ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა დაკეთილსინდისიერების პლატფორმის წევრების აკადემიური თაღლითობის შესახებ გამოკითხვის (პლატფორმის მე-3 პლენარულ სხდომაზე 2019 წელს) შედეგები უჩვენებს, რომ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე თითქმის არ არსებობს ამ ფენომენის შესახებ სისტემატიზებული სტატისტიკა და

[29] მიღებულია აღიარების შესახებ ლისაბონის კონვენციის კომიტეტის მიერ 2007 წლის ივნისში:www.enic-naric.net/fileusers/73_Revised_Code_of_Good_Practice_TNE.pdf.

რაოდენობრივი მონაცემები ან ასეთი მონაცემების შეგროვება ძალიან ადრეულ ეტაპზეა. მაშინ, როდესაც აკადემიური თაღლითობის ფენომენის აღქმა ძალიან ნათელია ხარისხობრივი თვალსაზრისით, მონაცემებისა და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება აკადემიური თაღლითობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, თუ ასეთი არსებობს, ფრაგმენტული და შეზღუდულია გარკვეული სექტორების ფარგლებში (მაგალითად, ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ქსელის რამდენიმე ცენტრი ფლობს არქივებს მიღებული ყალბი კვალიფიკაციებისა და დიპლომების ფაბრიკების შესახებ).

აკადემიური თაღლითობის ფენომენის მკაფიო სურათის შესაქმნელად წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ სათანადო კრიტერიუმების და მეთოდოლოგიის განსაზღვრას და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვას აკადემიური თაღლითობის და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების შესახებ  რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებაში, როგორც განსაზღვრულია რეკომენდაციის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯი იქნება შესაგროვებელი მონაცემების იდენტიფიცირება და თანამშრომლობა იმ დაინტერესებულ მხარეებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც უკვე ფლობენ ინფორმაციასა და მონაცემებს აკადემიური თაღლითობის შესახებ, მაგალითად, როგორიცაა ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ქსელი, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები და სპეციალური ორგანოები და ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განათლების სფეროში ეთიკასა და კეთილსინდისიერებაზე. ასეთი მონაცემების სენსიტიურობის გამო შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მათი გაცვლის პროცედურის განსაზღვრა, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს მათი გაერთიანებული და ანონიმური ფორმით მიწოდების შესაძლებლობა.

მონაცემთა შეგროვება უნდა განხორციელდეს პერიოდულად, აკადემიური თაღლითობის პროგრესის შესახებ ნათელი სურათის მისაღებად. კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება იმ საერთო კრიტერიუმების განხილვა და კონსენსუსის მიღწევა,  რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ მონაცემების შეფასების, ანალიზის და გონივრული დასკვნების მიღებისთვის, რომლებიც აქტუალურია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე ასევე შეიძლება გამოვლინდეს  ახალი ტენდენციები ისე, რომ შესაძლებელი იყოს ჩარევა აკადემიური თაღლითობის ახალი ფორმების გაჩენის ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე. ინდიკატორების ნაკრებმა, მეთოდოლოგიამ და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებამ შეიძლება შექმნას მონაცემების საერთაშორისო დონეზე  შედარების საფუძველი ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმის ფარგლებში. ეს ხელმისაწვდომს გახდის დროში თანმიმდევრულ და სინქრონულ და დიაქრონულ შესადარებელ მონაცემებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე,  აამაღლებს ფენომენის შესახებ ცნობიერებას, გააუმჯობესებს მის გააზრებას, მიუთითებს მომავალ ტენდენციებზე და შესაძლოა უზრუნველყოს აკადემიური თაღლითობის თავიდან აცილება და მინიმუმამდე შემცირება.

**16. მონიტორინგი**

განათლების სექტორი განსაკუთრებით დაუცველია თაღლითობის მიმართ და განათლების სფეროში არასაკმარისი ზედამხედველობა ხელს უწყობს აკადემიურ თაღლითობას. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ვერ აკონტროლებს საკუთარ საგანმანათლებლო სექტორს, ემუქრება საფრთხე, რომ გახდეს თაღლითი აგენტების სამოთხე, რომლებიც ყიდიან საკუთარ პროდუქტებს ადგილობრივ და საერთაშორისო კლიენტებზე. თუ ასეთი ოპერაციები წარმატებული იქნება, ეს შელახავს მთელი საგანმანათლებლო სისტემების რეპუტაციას.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ ეროვნული მომხსენებლები ან შექმნან ეკვივალენტური მექანიზმები აკადემიური თაღლითობის მონიტორინგისთვის. მომხსენებლები უნდა იყვნენ მაღალკვალიფიციური ექსპერტები აკადემიური თაღლითობის სფეროში. მონიტორინგის ასეთი მექანიზმის მიზანია აკადემიური თაღლითობის შესახებ მონაცემების შეგროვება და პარლამენტისა და ევროპის საბჭოსთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით.

ამ ტიპის მონაცემები საშუალებას მისცემს ევროპის საბჭოს, რომ შექმნას აკადემიური თაღლითობის გავრცელების ნათელი სურათი თითოეულ წევრ სახელმწიფოში და მთლიანად ევროპაში. ეს შემდგომ შესაძლებელს გახდის, რომ ევროპის საბჭომ წევრი სახელმწიფოებისთვის შეიმუშაოს ადეკვატური საკანონმდებლო რეკომენდაციები აკადემიურ თაღლითობასთან უფრო ეფექტიანად ბრძოლის მიზნით.

ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ქსელი შეიქმნა 1994 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის და იუნესკოს ევროპის რეგიონული კომიტეტის გადაწყვეტილებით აკადემიურ აღიარებასა და მობილობასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, მათ შორის, ინფორმაციის შესაგროვებლად. ქსელის ოფისების მანდატი და უნიკალური როლი წევრ ქვეყნებში მათ საშუალებას აძლევს, რომ შეასრულონ მნიშვნელოანი ფუნქცია თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების შესახებ მონაცემების შეგროვებაში. [30] ამის მიუხედავად, მონიტორინგის მექანიზმის ორგანიზება წევრ სახელმწიფოებში შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისა და მთავრობის სტრუქტურის გამო (როგორიცაა ფედერალიზმი).

## 17. შეფასება და განხილვა

განათლების სფეროში თაღლითობა ახალი ფენომენი არ არის. ისტორიული ქრონიკები მოწმობენ, რომ შუა საუკუნეებში ევროპაში პირველი უნივერსიტეტების დაარსებისთანავე ფართოდ გავრცელდა კორუფცია, კვალიფიკაციების „გაყიდვა“ და დოკუმენტების გაყალბება. თუმცა ეს ძველი ფენომენი მუდმივად ახალ ფორმებს იღებს და ახალ საფრთხეებს ქმნის; ის მუდმივად ვითარდება,

[30] კონვენცია ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ (ლისაბონი, 1997), ევროპის საბჭო (ETS No. 165).

იყენებს ინტერნეტზე ფართო ხელმისაწვდომობას და ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რათა მოახდინოს განათლების სექტორის ცვალებად გარემოსთან ადაპტირება.

წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ ამ სფეროში მათი ქმედებების ეფექტიანობა და თანმიმდევრულობა და გამოავლინონ პროცესში ჩართული ეროვნული დაინტერესებული მხარეები. ეს შეიძლება გაკეთდეს ეროვნულ დონეზე თვითშეფასების გზით. რეკომენდაციაში მოცემული აკადემიური თაღლითობის სხვადასხვა ასპექტები ასევე შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ეროვნულ დონეზე თვითშეფასებისა და სიტუაციის ანალიზის საშუალება, რათა იდენტიფიცირებული იქნეს ძლიერი მხარეები, რომლებიც გაზიარებული იქნება სხვა ქვეყნებთან და სისუსტეები, სადაც არსებობს სივრცე შემდგომი გაუმჯობესებისთვის, უფრო ეფექტიანი პოლიტიკისა და პრაქტიკის დასამკვიდრებლად. ამან ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს კარგი პრაქტიკის და მიღებული გაკვეთილების იდენტიფიცირებას, რომელთა გაცვლაც სასარგებლო იქნება იმ ქვეყნებთან, რომლებიც იმავე  გამოწვევების წინაშე დგანან.

შეფასების შედეგები სასარგებლო იქნება საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიებისა და პოლიტიკის გადასინჯვისთვის, ეროვნულ ი სტრატეგიების ხარისხის ამაღლების და ეფექტიანობის გაუმჯობესების  მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს აკადემიური თაღლითობისა და თაღლითური საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლების ცვალებად ხასიათზე რეაგირება. განხილვა ასევე უნდა განხორციელდეს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ინფორმაციის, პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების გაცვლის საფუძველზე. ინფორმაციის გაზიარების ეს ფორმა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობასთან (რეკომენდაციის დანართის მე-14 მუხლი), ასევე სასარგებლო იქნება აკადემიური თაღლითობის ახალი ტენდენციების და ახალი ფორმების გამოსავლენად და მათი განვითარების საწყის ეტაპზე დასაძლევად სტრატეგიებისა და პოლიტიკის კორექტირების მიზნით.

ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და  კეთილსინდისიერების პლატფორმა უნდა იყოს განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის შეფასებისა და განხილვის  შესახებ ინფორმაციის გაზიარების ფორუმი, გამჭვირვალობის, ნდობისა და ამ თემის სენსიტიურობის პატივისცემის ფარგლებში. წევრ სახელმწიფოებს შორის კოლეგიალური მხარდაჭერის ფორმები, როგორც ამ პრაქტიკის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების გზა, ასევე შეიძლება განხილული იქნეს ამ პლატფორმის ფარგლებში.

---

აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ CM/Rec(2022)18 რეკომენდაცია ეხება  განათლების სფეროში ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის მიმართ საერთო ევროპული მიდგომის საჭიროებას. ის იძლევა რეკომენდაციებს აკადემიურ თაღლითობასთან დაკავშირებული ოთხი სფეროს შესახებ: პრევენცია, სამართლებრივი დევნა, საერთაშორისო თანამშრომლობა და მონიტორინგი. განათლება ნაგულისხმევია მისი ფართო გაგებით და ტექსტში მოცემული ყველა ღონისძიება ეხება განათლებაზე ხელმისაწვდომობას და განათლების ყველა საფეხურსა და ფორმას,

დისტანციურ და აუდიტორიაში სწავლებას, სკოლამდელი აღზრდიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით, მათ შორის, პროფესიულ განათლებასა და უწყვეტ განათლებას.

რეკომენდაცია და განმარტებითი მემორანდუმი მოიცავს აკადემიურ განმარტებებს თაღლითობის, პლაგიატის და სხვადასხვა ტიპის ყალბი დოკუმენტების მიმწოდებლების შესახებ, როგორიცაა დიპლომი, აკრედიტაცია და სავიზო „ფაბრიკები“, ასევე ესეების ბანკები.

---

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებების დაცვის წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი მოიცავს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრს. ევროპის საბჭოს წევრმა ყველა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის მიზნით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს კონვენციის განხორციელებას წევრ ქვეყნებში.

www.coe.int